შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის გაზეთი

# IBSU გაზეთი

2017 წ. № 6

IBSU Media Club

## შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტმა მორიგ საერთაშორისო კონფერენციას უმასპინძლა

*თამუნა გრიგალაშვილი, სოფი თოფურია*



19 მაისს შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტში აბრეშუმის გზის მე-12 საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია ჩატარდა. კონფერენცია შზსუ-ს „აბრეშუმის გზის სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტის“ მიერ იყო ორგანიზებული, მის განხორციელებაში შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტთან ერთად წვლილი ექვსმა პარტნიორმა უმაღლესმა სასწავლებელმა შეიტანა.

წელს შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის პარტნიორი უმაღლესი სასწავლებლები იყო - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, ქუთაისის აკაკი წერეთლის სახელობის უნივერსიტეტი და სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი.

კონფერენციაზე მომხსენებლები მსოფლიოს სხვადასხვა უნივერსიტეტებიდან ჩამოვიდნენ, მათ შორის ბარსელონას (ესპანეთი), მანიტობას (კანადა), ზაგრების (ხორვატია), ვენის (ავსტრია) უნივერსიტეტებიდან. კონფერენციაში წარმოდგენილები იყვნენ მკვლევარები ყოფილი საბჭოთა კავშირის რესპუბლიკებიდან - რუსეთიდან, ყაზახეთიდან, აზერბაიჯანიდან. მომხსენებლებს შორის იყო ირანის უმაღლესი სასწავლებლის რამდენიმე მომხსენებელიც.

კონფერენცია ორ ნაწილად გაიყო. პირველ, გახსნით ღონისძიებაზე ისაუბრეს კონფერენციის მთავარმა გამომსვლელებმა **ზიგენის (გერმანია) უნივერსიტეტის პროფესორმა ფერდ მორგენტალერმა,** რომლის მოხსენებაც შეეხებოდა ევროპული სამართლებრივი ტრადიციის ორი უმთავრესი პრინციპის - თავისუფლებისა და კანონის უზენაესობის ურთიერთმიმართებას.

მეორე მთავარი მომ**ხსენელი კანადის ქალაქ კალგარის უნივერსიტეტის პროფესორი ქეთლინ მაჰონი იყო, მისი მოხსენება ადამიანის უფლ**ებათა შელახვის ფაქტების სამართლებრივ ანალიზს წარმოადგენდა.

კონფერენციის გახსნით ნაწილზე ისაუბრა აშშ-ს ჩრდილოეთ დაკოტის გენერალურმა პროკურორმა ვეინ სტენჰემმა. მან ყურადრება გაამახვილა საქართველოში მიმდინარე სამართლებრივ რეფორმებზე, კანონის უზენაესობის მნიშვნელობაზე. საჯარო გამოსვლისას, სტენჰემმა აღნიშნა, რომ საქართველო დემოკრატიული სახელმწიფოს მშენებლობის გზაზე წინ წარმატებულად მიიწევს.

კონფერენცია სამი დღის განმავლობაში შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტსა და თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტებში მიმდინარეობდა. ორი დღის განმავლობაში 70 მოხსენება იქნა წაკითხული, მოხსენებები ოთხ ძირითად ჯგუფად დალაგდა: „ადამიანის უფლებები“, „დემოკრატია და უსაფრთხოება“, „საჯარო მმართველობა“,„კონსტიტუცია“.

საქართველოს საკონსტიტუციო

*გაგრძელება მე-3 გვერდზე*

## IBSU-მ ჩინეთის უმსხვილეს უნივერსიტეტთან მემორანდუმი გააფორმა

*გვანცა ნადიბაიძე*

შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტსა და ჩინეთის საერთაშორისო ბიზნესისა და ეკონომიკის უნივერსიტეტს შორის თანამშრომლობის მემორანდუმი გაფორმდა, რომლის ფარგლებშიც პარტნიორ უნივერსიტეტებში ჩინურ-ქართული კომპეტენციის ცენტრი დაარსდა.

მემორანდუმს ხელი მოეწერა მსოფლიო „Belt and Road Forum”-ის ფარგლებში, სადაც 1500 სტუმარი იყო მიწვეული. სტუმრებს შორის იყო მსოფლიოს 29 ქვეყნის პრეზიდენტი, ბიზნესმენები, მსოფლიო ბანკის პრეზიდენტი, აშშ-ს საგარეო საქმეთა მინისტრი...

აღნიშნული ფორუმი ქვეყნების ეკონომიკურ განვითარებას ემსახურება, განსაკუთრებით კი იმ ქვეყნებისას, რომლებიც სოციალური თვალსაზრისით არ არიან დაწინაურებულები. ფორუმის ერთ-ერთი მიმართულება სამეცნიერო-კვლევით თემებზე ერთობლივი მუშაობა იყო. შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი ერთადერთი აღმოჩნდა, რომელთანაც ჩინეთის საერთაშორისო ბიზნესისა და ეკონომიკის უნივერსიტეტის რექტორმა თანამშრომლობის მემორანდუმს ხელი მოაწერა.

მედია კლუბთან ჩინურ-ქართული კომპეტენციის ცენტრის მიზანსა და მისი მუშაობის სტრუქტურის შესახებ შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის ამერიკის მცოდნეობის პროგრამების ხელმძღვანელმა, განათლებისა და ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანმა, თამარ შიოშვილმა ისაუბრა. იგი ჩინეთში შზსუ-ს დელეგაციის წევრი იყო.



„ჩინურ-ქართული კომპტენეციის ცენტრის მიზანია, განავითაროს ეკონომიკა, რაც ძალიან მნიშვნელოვანია ჩვენი ქვეყნისთვის. ასევე, ხელი შეეწყობა საქართველოსა და ჩინეთს შორის აკადემიური ურთიერთობების გაღრმავებასა და განვითარებას. ცენტრს ეყოლება ერთობლივი საბჭო და განთავსებული იქნება, როგორც ჩვენ უნივერსიტეტში, ასევე - ჩინეთის საერთაშორისო ბიზნესისა და ეკონომიკის უნივერსიტეტშიც. გადავწყვიტეთ, რომ ჩვენი ურთიერთობის პირველ ეტაპზე სტუდენტების გაცვლითი პროგრამა ავამოქმედოთ. მაგისტრანტები და დოქტორანტები წავლენ გაცვლითი პროგრამებით ჩინეთში. ოქტომბრის თვეში დავგეგმეთ საქართველოში ჩინეთის დელეგაციის სტუმრობა. ცენტრის ამუშავების შემდეგ ეს იქნება ჩინელი პარტნიორების პირველი ვიზიტი საქართველოში“, აღნიშნა თამარ შიოშვილმა.

ჩინეთის საერთაშორისო ბიზნესისა და ეკონომიკის უნივერსიტეტთან სასწავლო მემორანდუმი შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტმა ერთი წლის უკან გააფორმა. მემორანდუმის გაფორმების შემდეგ ჩინეთში ბაკალავრიატის ოთხი სტუდენტი იყო წასული. ერთ-ერთი მათგანია ბიზნესის მართვის ფაკულტეტის მეოთხე კურსის სტუდენტი გიორგი სლანიშვილი. გიორგიმ „მედია კლუბს“ შთაბეჭდილებები გაუზიარა.

„უნივერსიტეტში სწავლის დონე საკმაოდ მაღალია. დასწრება თავისუფალია, ყოველი ლექცია არის ინტერაქტიული, სადაც აუცილებელია სტუდენტების ინიციატივა. იქ არის სრული თავისუფლება და კომფორტი იმისთვის, რომ როგორც შენ ჩათვლი საჭიროდ, იმ ფორმით ისწავლო. ლექტორების ძირითადი ნაწილი მოწვეული პროფესორებია, რომელთა უმეტესობას განათლება მიღებული აქვს როგორც ჩინეთში, ისე - დასავლეთში. ჩინეთის საერთაშორისო ბიზნესისა და ეკონომიკის უნივერსიტეტი არის ერთ-ერთი წამყვანი უნივერსიტეტი ამ სფეროში და მისი კურსდამთავრებულების უმეტესობა დასაქმებულია სახელმწიფო სტრუქტურაში და დიდ საერთაშორისო ჩინურ ბანკებში“, გვითხრა გიორგი სლანიშვილმა.

შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის ყოველწლიური „აბრეშუმის გზის“ კონფერენცია 2018 წელს ჩინეთის საერთაშორისო ბიზნესისა და ეკონომიკის უნივერსიტეტთან ერთობლივი თანამშრომლობით ჩატარდება. კონფერენციის ფარგლებში საქართველოს ჩინეთის უნივერსიტეტის ვიცე-პრეზიდენტი ესტუმრება.

„ამერიკის დღეები 2017“ შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტშიც აღინიშნა



გვ: 2

განათლების მეშვიდე საერთაშორისო გამოფენა



გვ: 3

საფრანგეთის ელჩის ვიზიტი IBSU-ში



გვ: 7

ვიქტორ დოლიძე სტუდენტებს შეხვდა



გვ: 10

სტუდენტთა გაცვლითი პროგრამები IBSU-ში



გვ: 10

## კავკასიის რეგიონში EBRD-ის დირექტორის საჯარო ლექცია



შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის ბიზნესის მართვის ფაკულტეტის მოწვევით, EBRD-ის დირექტორმა კავკასიის რეგიონში, ბრუნო ბალვანერამ საჯარო ლექცია გამართა თემაზე „EBRD-ის როლი საქართველოში და კერძო სექტორის განვითარება". მოწვეულმა სტუმარმა დამსწრე საზოგადოებას გააცნო საკუთარი მოკლე ბიოგრაფია და ვრცლად ისაუბრა EBRD-ის არსზე, მის მნიშვნელობასა და კერძოდ, მისი შექმნის ისტორიის შესახებ, სადაც აღნიშნა, რომ ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის დაარსების მიზანი იყო პოსტსაბჭოთა, ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნების ეკონომიკური განვითარება და აღორძინება. რამაც ისტორიული როლი ითამაშა და მოიპოვა ცვლილებების შემუშავების უნიკალური გამოცდილება რეგიონში და მის ფარგლებს გარეთაც. ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკისთვის მნიშვნელოვანია ხელი შეუწყოს პროგრესს "ბაზარზე ორიენტირებულ ეკონომიკასა და კერძო და სამეწარმეო ინიციატივაში". 1990-იანი წლების დასაწყისში ეს მისი სახელმძღვანელოს პრინციპი გახლდათ. EBRD-ს საქართველოსთან ძალიან წარმატებული ურთიერთთანამშრომლობის 20 წელი აკავშირებს და მას დღემდე 160-მდე პროექტში 2,6 მილიარდი დოლარი აქვს ინვესტირებული. 2013 შემუშავდა ურთიერთობის ახალი სტრატეგია შემდეგი პრიორიტეტებით: ინვესტირების გზით კერძო სექტორის ხელშეწყობა, ენერგეტიკა და ლოჯისტიკა, ტელეკომუნიკაცია, ინფრასტრუქტურა და ფინანსური სექტორი. ბალვანერამ ასევე აღნიშნა, რომ ქვეყნის ძლიერი საბანკო სისტემა და ექსპორტის მაღალი მაჩვენებელი, რეგიონების განვითარებაზე ფოკუსირება - ქვეყნის ეკონომიკური ზრდის და განვითარების საწინდარია.

# „ამერიკის დღეები 2017" შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტშიც აღინიშნა

*მარი ჯგუშია*



საქართველოში აშშ-ს ელჩის მოადგილე ნიკოლას ბერლინერი და IBSU-ს რექტორი ილიას ჩილოღლუ

წელს აშშ-სა და საქართველოს შორის დიპლომატიური ურთიერთობების დამყარებიდან 25 წელი გავიდა. აპრილში „ამერიკის დღეების" ფარგლებში დაგეგმილი არაერთი საინტერესო ღონისძიება გაიმართა, საიუბილეო პროგრამაში შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტიც იყო ჩართული.

შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტში 25 აპრილს ამერიკის შეერთებული შტატებისა და საქართველოს დიპლომატიური ურთიერთობების 25 წლის იუბილის აღსანიშნავი ღონისძიება გაიმართა. ღონისძიებას ესწრებოდნენ ამერიკის ელჩის მოადგილე ნიკოლას ბერლინერი და ნატოს სამეკავშირეო ოფისის ხელმძღვანელი უილიამ ლაჰიუ.

სტუმრებმა ქართულ-ამერიკული ურთიერთობების მნიშვნელობაზე ისაუბრეს. სტუდენტებმა წარმოადგინეს ამერიკასთან დაკავშირებული მუსიკალური და საცეკვაო ნომრები. ამასთან, მათ აუდიტორიას წარუდგინეს ვიდეო-კოლაჟი მათი თვალით დანახულ „ამერიკულ ოცნებასთან" დაკავშირებით. ღონისძიებაზე სიტყვით გამოვიდნენ შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის ამერიკის მცოდნეობის პროგრამების ხელმძღვანელი, განათლებისა და ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანი თამარ შიოშვილი, FLEX პროგრამის კურსდამთავრებული ალექსანდრე ხუნჯუა, უნივერსიტეტის პროფესორები... მეგობრული ღონისძიება საზეიმო ტორტის გაჭრით დასრულდა.

**„ამერიკა-საქართველოს ურთიერთობა უაღრესად მნიშვნელოვანია ორივე ქვეყნისათვის. ჩვენ მჭიდრო მეგობრობა გვაკავშირებს, ვინაიდან საერთო ღირებულებებს, შეხედულებებსა და მისწრაფებებს ვიზიარებთ."** - ამბობს ამერიკის ელჩის მოადგილე ნიკოლას ბერლინერი. ბერლინერის თქმით, აშშ არაერთ სოციალურ, თუ სხვა სახის პროექტს ახორციელებს საქართველოში და მომავალშიც ასე გაგრძელდება.

ამერიკა-საქართველოს მეგობრულ ურთიერთობაზე, აგრეთვე საელჩოსა და შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტს შორის არსებულ ხანგრძლივ მეგობრობაზე ძალიან საინტერესო კომენტარები გააკეთა განათლებისა და ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანმა, ამერიკის მცოდნეობის პროგრამების ხელმძღვანელმა, თამარ შიოშვილმა.

**„ამერიკული ოცნება ყველას სხვადასხვაგვარად ესმის. ახალგაზრდობისთვის ეს ძირითადად თავისუფალი არჩევანის უფლებაა. ამერიკელები ზოგადად კანონმორჩილი და დახმარების მოყვარული ერია. ეს არის უამრავი ეროვნების წარმომადგენლის ერთობლივად ბედნიერი ცხოვრების გარანტი. დახმარებას რაც ეხება, თუ ამერიკელები ადამიანში რაიმე ნიჭს აღმოაჩენენ, არ ახშობენ მას, არამედ განვითარებაში უწყობენ ხელს."** - აღნიშნა „მედია კლუბთან" საუბრისას თამარ შიოშვილმა. მისი თქმით, შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტს ამერიკის მცოდნეობის საბაკალავრო პროგრამის დაარსების დღიდან მხარში უდგას ამერიკის საელჩო, რომელმაც უნივერსიტეტის ბიბლიოთეკას არაერთი საჭირო წიგნი გადასცა.

შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი დღესდღეისობით ერთადერთი უნივერსიტეტია საქართველოში, რომელსაც ამერიკათმცოდნეობის ინგლისურენოვანი პროგრამა გააჩნია. ამ პროგრამის სტუდენტები სწავლობენ აშშ-ს ისტორიას, კულტურას, მედიას, პოლიტიკას, ეკონომიკას, ბიზნესსა და სამართალს.

აღსანიშნავია, რომ შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის



ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანი თამარ შიოშვილი

ხელშეწყობით 2008-დან 2012 წლის ჩათვლით ამერიკის მცოდნეობის პროგრამის 16 სტუდენტი აშშ-ში სენტ-ლუისის ვაშინგტონის უნივერსიტეტში სასწავლებლად გაემგზავრა.

# „კავკასიის გზაჯვარედინზე: რეგიონალური სტაბილურობის გამოწვევები"

*ანა გოგიტიძე, ნინია მედულაშვილი, ანი ჭედია, ნატა მიქაია*

სტუდენტური კონფერენცია „კავკასიის გზაჯვარედინზე: რეგიონალური სტაბილურობის გამოწვევები" შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტში 29 აპრილს გაიმართა. კონფერენცია შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტისა და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ერთობლივი ღონისძიება იყო და მასში მონაწილეობდნენ შზსუ-სა და თსუ-ს სტუდენტები.

კონფერენცია მეხუთე წელია, რაც ტარდება და მისი მიზანია სტუდენტებს თანამედროვე სამყაროში წარმატებული საქმიანობისთვის საჭირო უნარების განვითარებისთვის შესაბამისი შესაძლებლობები შესთავაზოს. კონფერენციის ერთ-ერთმა ორგანიზატორმა და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის სასწავლო პროცესის ადმინისტრატორმა ნინო სამხარაძემ „მედია კლუბთან" საუბრისას აღნიშნა, რომ კონფერენციამ გასულ წელთან შედარებით დიდი პროგრესი განიცადა.

„ძალიან კმაყოფილი ვარ, რადგან კონფერენციამ აჩვენა მნიშვნელოვანი პროგრესი მონაწილეების თვალსაზრისით, წარმოდგენილი ნაშრომების ხარისხის თვალსაზრისითა და აკადემიური კომისიის შემადგენლობის თვალსაზრისით. მზადების პროცესი მოიცავდა სტანდარტულ ეტაპებს: აბსტრაქტების შერჩევა და შერჩევის სიმკაცრემ განსაზღვრა კონფერენციის ხარისხი", აღნიშნა ნინო სამხარაძემ.

გახსნის ცერემონიალის შემდეგ კონფერენციის მუშაობა სასესიო სხდომებზე გაგრძელდა. კონფერენციაზე წარმოდგენილი მოხსენებები 5 სექციად მუშაობდა: პოლიტიკის მეცნიერებები, საერთაშორისო ურთიერთობები, საჯარო ადმინისტრირება, ეკონომიკა, ჟურნალისტიკა და სოციოლოგია.

კონფერენციის მსვლელობას თვალს ადევნებდნენ აკადემიური კომისიის წევრები შესაბამისი დისციპლინებიდან. აკადემიური კომისია დაკომპლექტებული იყო ხუთივე ზემოთ ჩამოთვლილი პანელის მიმართულებით.

აკადემიური კომისიის წევრებს წინასწარ ჰქონდათ გადაგზავნილი კრიტერიუმები, რომლის მიხედვითაც გამომსვლელები უნდა შეეფასებინათ როგორც - წერილობითი ნაშრომებით, ისე - ზეპირი პრეზენტაციებით. თსუ-ს სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანმა და კომისიის წევრმა თამარ დოლბაიამ აღნიშნა, რომ მსაგვს კონფერენციებს სტუდენტებისთვის დიდი მნიშვნელობა აქვს.

"სტუდენტებისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს ასეთი სახის ღონისძიებებს, რადგან ერთმანეთს უზიარებენ ცოდნას, ამყარებენ საჭირო კონტაქტს. საკონფერენციო თემაზე მუშაობისას სტუდენტებს უვითარდებათ კვლევისა და მოძიებული ინფორმაციის წარდგენის უნარი", გვითხრა ივანე ჯავახიშვილის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკნმა თამარ დოლბაიამ.




ჟურნალისტიკისა და სოციოლოგიის სექციის გამარჯვებულები, თსუ-ს მესამე კურსის სტუდენტები მარიამ ლეკიაშვილი და ანა ურუშაძე

საერთაშორისო ურთიერთობების პანელისა და შზსუ-ს ასოცირებული პროფესორის ნიკა ჩიტაძის თქმით, კონფერენციის მთავარ მიზანს რეგიონში არსებული გამოწვევების შესახებ მოსაზრებათა ურთიერთგაზიარება წარმოადგენს.

"კონფერენციის მიზანია სამხრეთ კავკასიის რეგიონში არსებული სოციალურ-ეკონომიკური და პოლიტიკური ვითარების განხილვა და ყველა იმ აქტუალური საკითხის გარშემო საუბარი და მოსაზრებათა ურთიერთგაზიარება, რომლებიც სწორედ ამ რეგიონს უკავშირდება. გარდა ამისა, თითოეული დღევანდელი მოსაზრება შეისწავლა დამსწრე საზოგადოებამ და კომისიის წევრებმა. ასევე, მისასალმებელია, რომ ახალგაზრდა თაობა თავად ინტერესდება ამ საკითხებით, რადგან სწორედ მათზეა დამოკიდებული საქართველოს მომავალი", აღნიშნა „მედია კლუბთან" საუბრისას ნიკა ჩიტაძემ.



საჯარო მმართველობის სექციის გამარჯვებული მარიამ გორდელაძე

კონფერენციაზე წარმოდგენილ თითოეულ პანელში გამარჯვებულები გამოვლინდნენ. ჟურნალისტიკისა და სოციოლოგიის პანელის გამარჯვებული თსუ-ს IV კურსის სტუდენტები ანა ურუშაძე და მარიამ ლეკიაშვილი გახდნენ.

„ამ კონფერენციაში პირველად ვიღებ მონაწილეობას. გარდა გამოცდილებისა, კონფერენცია გვეხმარება სტიპენდიის აღებაში ჩვენ უნივერსიტეტში. IBSU-ში მაღალ დონეზე ტარდება მსგავსი ღონისძიებები და სწორედ ამიტომ მივიღე მონაწილეობა. გამარჯვებას ნამდვილად ველოდი, რადგან ნამდვილად კარგად ვიყავი მომზადებული", გვითხრა ანა ურუშაძემ.

საჯარო მმართველობის სექციაში კი, გამარჯვება შზსუ-ს მესამე კურსის სტუდენტმა მარიამ გორდელაძემ მოიპოვა.

"ძალიან გამიხარდა გამარჯვება და ისიც უნდა აღინიშნოს, რომ სხვა მონაწილეებიც ძლიერები იყვნენ. სამი წელია ამ პროექტში ვმონაწილეობ და მიხარია, რომ კიდევ შევძლებ მონაწილეობის მიღებას", აღნიშნა მარიამ გორდელაძემ.

კონფერენციის დასასრულს მონაწილეებს საზეიმო ვითარებაში სერთიფიკატები გადაეცათ.

## დავით რაქვიაშვილის საჯარო ლექცია



შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის "დიპლომატიის კლუბის" მოწვევით ეროვნული უშიშროების საბჭოს მდივანმა დავით რაქვიაშვილმა საჯარო ლექცია გამართა.

სტუმარი საუბრისას ვრცლად შეეხო საბჭოს საქმიანობას, მიზნებს და ამ დრომდე შესრულებულ ამოცანებს. ასევე, მიმოიხილა ყველა ის საინტერესო საკითხი, რაც საქართველო-რუსეთის გავლენის განეიტრალებას და საერთაშორისო ასპარეზზე საქართველოს საკითხის აქტუალურობის დაბრუნების გზებს ეხება. მან უპასუხა სტუდენტების შეკითხვებს.

*დასაწყისი პირველ გვერდზე*

ცვლილებებს ეხებოდა საკონსტიტუციო კომისიის ერთ-ერთი წევრის ვასილ გონაშვილის მოხსენება. მან დამსწრე საზოგადოებას გააცნო საქართველოს ახალი კონსტიტუციის



**ვასილ გონაშვილი, სამართლის დოქტორი, სახელმწიფო საკონსტიტუციო კომისიის საზღვარგარეთის ქვეყნების კონსტიტუციური კანონმდებლობის ანალიზის სამუშაო ჯგუფის ხელმძღვანელი**

პროექტის ის თავისებურებები, რითიც იგი ძველი კონსტიტუციისგან განსხვავდება. ვასილ გონაშვილმა ახალ კონსტიტუციაში შესულ ერთ-ერთ მნიშვნელოვან სიახლედ პრეზიდენტის არჩევის წესის შეცვლა დაასახელა, რამაც დამსწრე საზოგადეობაში, განსაკუთრებით კი, სტუდენტებში დიდი ინტერესი გამოიწვია და ხანგრძლივი დისკუსიის საგნადაც იქცა.

"აღნიშნული კონფერენცია აქტუალური და მნიშვნელოვანი იყო, ვინაიდან ეხებოდა იურიდიულ მეცნიერებაში არსებულ პრობლემატიკას. ასევე მოხსენებები შეეხო ისეთ პრაქტიკულ საკითხებს, რომელთა გადაჭრაც სურს საზოგადოებას. ვფიქრობ, მსგავს კონფერენციაში მონაწილეობა ყველა ადამიანისთვის საპატიოა. მნიშვნელოვაშია ისიც, რომ კონფერენციაში მონაწილებდნენ სხვა ქვეყნების წარმოამდგენლები, რომელთა მოხსენებები ძალიან საინტერესო იყო სტუდენტებისთვის. „აბრეშუმის გზის საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია", ზოგადად მსგავსი კონფერენციები, ხელს უწყობს აზრთა გაცვლა-გამოცვლას, სხვა ქვეყნების მეცნიერთა ინფორმირებას საქართველოში მიმდინარე პროცესებზე, ასევე ქართველი სტუდენტების გაცნობიერებას სხვა ევროპულ ქვეყნებში მიმდინარე სამართლებრივი რეფორმების შესახებ. ჩემი აზრით, აუცილებელია მსგავსი კონფერენციების მეტი პოპულარიზაცია და სტუდნეტების უფრო აქტიური ჩართულობა", - განაცხადა შავი ზღვის საერტაშორისო უნნივერსიტიტის „მედია კლუბთან" საუბრისას ვასილ გონაშვილმა.

"მედია კლუბი", ასევე, გაესაუბრა აბრეშუმის გზის კონფერენციის კიდევ ერთ მთავარ მომხსენებელს, დავით ბატონიშვილის სახელობის სამართლის კვლევით ინსტიტუტის დირექტორს, სამართლის დოქტორს დიმიტრი გეგენავას.

"ნებისმიერი კონფერენცია, თუ სამეცნიერო ფორუმი, რომელიც აზრთა გაცვლას გულისხმობს, გამოწვევაა აკადემიურ სფეროში დასაქმებული ადამიანისთვის. თუკი კონფერენცია საერთაშორისო ხასიათს ატარებს, კიდევ უფრო დიდი მნიშვნელობა და დატვირთვა ენიჭება. ამ კონფერენციის თემატიკა ძალზე აქტუალურია და ორიენტირებულია იმ პრობლემებზე, რომლებიც არსებობს საქართველოსა და ზოგადად, თანამედროვე სამყაროში. ამასთან, კონფერენციაში მონაწილეობის დამატებითი მოტივატორი გამომსვლელთა მრავალფეროვნება და მოხსენების საკითხებისადმი ინტერესი იყო", აღნიშნა დიმიტრი გეგენავამ. მისი აზრით, **მსგავსი კონფერენციები ხელს უწყობს იმ მთავარ მიზანს, რაც აკადემიურ საქმიანობას თან უნდა ახლდეს: "ესაა - ინტეგრაცია და დიალოგი. აუცილებელია სხვადასხვა საკითხისადმი განხვავებული ხედვების, მოსაზრებების გაგება, გაზიარება და ანალიზი. ეს კი კომუნიკაციის, მსგავს ფორუმებზე დისკუსიის გარეშე, ფიზიკურად ვერ მიიღწევა".**

კონფერენციის მეორე სესიაზე მომხსენებლებმა აუდიტორიებში გადაინაცვლეს, გაინაწილეს თემები და მოხსენებებიც წარადგინეს სხვადასხვა უნივერსიტეტის სახელით. კონფერენციაში მონაწილეობას იღებდნენ სტუდენტები, მაგისტრანტები და დოქტორანტურის საფეხურის სტუდენტებიც. „მედია კლუბი" სესიაზე მყოფ მომხსენებლებს გაესაუბრა:

ბექა წიკლაური, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წარმომადგენელი;

"პირველ რიგში კონფერენციის თემა იყო მრავალფეროვანი. წარმოდგენილი იყო სხვადასხვა ქვეყნის მომხსენებლები, ამიტომ ვთვლი, რომ კონფერენცია არ გახლდათ მხოლოდ ერთ საკითხზე ორიენტრიებული. ჩემი თემა იყო პრეზიდენტის ვეტო, როგორც შეკავება გაწონასწორების მექანიზმი. დარწმუნებით შემიძლია ვთქვა, რომ ამ კონფერენციაში მომავალშიც აუცილებლად მივიღებ მონაწილეობას."

ანა კუჭუხიძე, გრიგოლ რობაქიძის უნივერსიტეტის წარმომადგენელი: "კონფერენცია ჩემთვის ძალიან მნიშვნელოვანია, რადგან განიხილება თეორიული და პრაქტიკული საკითხები. ჩემი თემა გახლდათ საკონსტიტუციო სასამართლო. მომავალშიც აუცილებად ვისურევებდი მონაწილების მიღებას, რადგან საინტერესოა სამართლებრივ საკითხებზე განსხვავებული თვალსაზრისების მოსმენა და გაზიარება"

რუსუდან ბერიაშვილი, შავი ზღვის უნივერსიტეტის დოქტორანტურის სტუდენტი:

"მიუხედავად იმისა, რომ ბიზნესის ფაკულტეტის სტუდენტი ვარ, ამ კონფერენციის თემატიკა პირდაპირ არ ეხება ჩემ პროფესიას. სწორედ ამიტომ გადავწყვიტე მიმეღო მონაწილეობა. ჩემი თემა იყო "ქალთა უფლებები ბიზნეს სამყაროში". მე გამოვიკვლიე ქალების უფლებები, მათი ხელფასები და აღმოჩნდა, რომ საქართველოში ამ კუთხით ისინი ძალიან დაჩაგრულები არიან. შემოვიტანე რამდენიმე ინიციატივა, რითაც შევძლებთ ქალებს უკეთესად განვითარებაში და ბიზნეს სექტორებში დასაქმებაში დავეხმაროთ. ვთვლი, რომ დღეს, როდესაც განათლების მიღება უფრო გამარტივებულია, ქალების მდგომერეობის გაუმჯობესებაც უფრო იოლი უნდა გახდეს. მე ძალიან კმაყოფილი ვარ კონფერენციის, ის საერთაშორისო დონისაა. გასულ წელსაც მივიღე მონაწილეობა, წელსაც და ვიმედოვნებ, რომ მომავალშიც მომეცემა შანსი, რომ ჩემი მცირედი წვლილი შევიტანო აბრეშუმის გზის სამეცნიერო კონფერენციის მსვლელობაში".

აბრეშუმის გზის მე-12 საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია 19-20 მაისს გაგრძელდა. სესიების დასასრულს შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის რექტორმა, მოწვეულ სტუმრებს სიმბოლური საჩუქრები გადასცა.



**კონფერენციის ერთერთი მთავარი მომხსენებლი კანადის კალგარის სამართლის უნივერსიტეტის პროფესორი ქეთლინ მაჯონი**

# „განვითარებული თვითმმართველობა უფრო უკეთ უზრუნველყოფილ მოქალაქეს ნიშნავს"

## *ინტერვიუ თბილისის მერ დავით ნარმანიასთან*

*თამუნა იაკობაშვილი, თაკო ბოჭორიძე, სოფო შოშიაშვილი*



**თბილისის მერი დავით ნარმანია: „ადგილობრივი მთავრობა, რომელსაც ხალხი ირჩევს, უნდა ასრულებდეს ხალხის დაკვეთას"**

28 თებერვალს, შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტში თბილისის მერის, დავით ნარმანიას საჯარო ლექცია გაიმართა. ლექციის თემა "ადგილობრივი მმართველობის პოლიტიკური და ეკონომიკური საფუძვლები" იყო. შეხვედრა კითხვა-პასუხის რეჟიმში წარიმართა, სადაც სტუმრებს საშუალება ჰქონდათ აქტუალურ პრობლემებთან დაკავშირებით მოესმინათ მერის პასუხები. საჯარო ლექციის ბოლოს „მედია კლუბს" საშუალება ჰქონდა მერს პირადად გასაუბრებოდა და რამდენიმე კითხვა დაესვა.

**- ბატონო დავით, როგორ წარიმართა სტუდენტებთან შეხვედრა?**

- საჯარო ადმინისტრირებისა და სახელმწიფო მმართველობის სტუდენტები ყოველთვის ინტერესდებიან ადგილობრივი თვითმმართველობის ფუნქციებით, უფლებამოსილებით, ყოველდღიური საქმიანობით, იმითი, თუ რაზეა დაფუძნებული თვითმმართველობის სისტემა. ეს ინტერესი თქვენი უნივერსიტეტის სტუდენტებში გამოიკვეთა. მნიშვნელოვანია ისიც, რომ სალექციო ნაწილის შემდეგ, რამდენიმე პრაქტიკული შეკითხვა დაისვა. ყოველთვის საინტერესოა თვითმმართველობის საქმიანობა, ვინაიდან თითოეული ჩვენგანის ყოველდღიურ ცხოვრებას ეხება, ამდენად სტუდენტების მხრიდან გარდა თეორიული საკითხებისა, ყოველთვის მოდის პრაქტიკული კითხვებიც, ამდენად დღევანდელ შეხვედრაც ძალიან საინტერესო იყო.

**- რა მნიშვნელობა აქვს ადგილობრივ თვითმმართველობას და რა როლს თამაშობს ის ქალაქის განვითარების პროცესში?**

- თვითმმართველობის რეფორმა ბოლო რამდენიმე წელია მიმდინარეობს და ვითარდება. ფუნქციურად უფრო მეტად გაიმიჯნა ცენტრალური და ადგილობრივი მთავრობის უფლებამოსილებები. თვითმმართველობები უფრო მეტად დამოუკიდებლები გახდნენ. მნიშვნელოვანია ასევე ის, რომ ამ ეტაპზე მიმდინარეობს ფისკალური რეფორმა, რომელიც გულისხმობს თვითმმართველობებისათვის მეტი შემოსავლების გადაცემას, რათა თვითმმართველობებმა თავად შეძლონ მეტი ადგილობრივი მნიშვნელობის საკითხების გადაწყვეტა. რეფორმირება ჯერ არ დასრულებულა, რამდენიმე წლიანი პროცესია და კვლავ მიმდინარეობს, რათა კიდევ უკეთესი შედეგი მივიღოთ. ამ ინსტიტუტის განვითარება მნიშვნელოვანია, ვინაიდან განვითარებული თვითმმართველობა უკეთ უზრუნველყოფილ მოქალაქეს ნიშნავს.

**- რას მიიჩნევთ საქართველოს ეკონომიკის მთავარ გამოწვევად ?**

- საქართველოს ეკონომიკის მთავარი გამოწვევაა, უფრო მეტი წარმოების განვითარება მეტი დასაქმებისათვის.

**- განვითარების რა ეტაპზე იმყოფება დღეს თბილისი?**

- დღეს განვითარების ისეთ მნიშვნელოვან ეტაპზე ვდგავართ, რაც გულისხმობს მართლაც დემოკრატიული და განვითარებული ევროპული ტიპის თვითმმართველობის მშენებლობას, რაც ორ მთავარ საფუძველზე იქნება დამყარებული. პირველი, საზოგადოების კეთილდღეობის უფრო მეტად გაუმჯობესება და მეორე, ეს არის მმართველობის დემოკრატიული პრინციპები. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ხალხთან ერთად რეალურად მუშაობა და შეთანხმება, თუ რა პრობლემები უნდა გადავჭრათ.

**- რა არის თქვენი სამომავლო გეგმები?**

- სამომავლო გეგმები არის კიდევ უფრო მეტი პროექტის განხორციელება ქალაქის უფრო მეტად განვითარებისათვის, რაშიც არსებული რესურსებიდან და ძალისხმევიდან გამომდინარე მაქსიმუმს გავაკეთებთ, რათა უკეთესი ქალაქი გადავაბაროთ იმ მემკვიდრეებს, რომლებიც ჩვენ შემდეგ ჩაუდგებიან ქალაქს სათავეში.

# განათლების მეშვიდე საერთაშორისო გამოფენა

*ელენე კვიციანი*



2017 წლის 16-17 თებერვალს საგამოფენო ცენტრ „ექსპო-ჯორჯიაში" განათლების მე-7 საერთაშორისო გამოფენა გაიმართა. გამოფენაში მონაწილეობას იღებდა სხვადასხვა ქვეყნის ასამდე უმაღლესი და პროფესიული სასწავლებელი, მათ შორის იყო შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტიც.

IBSU-ს სტენდთან მოსულ სტუმრებს მიეცათ საშუალება გასაუბრებოდნენ უნივერსიტეტის ხუთივე ფაკულტეტის წარმომადგენლებს, რათა მიეღოთ ამომწურავი ინფორმაცია როგორც საბაკალავრო, სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამებზე, ისე - სწავლის დაფინანსებაზე, სტიპენდიებსა და გრანტებზე.

გამოფენაში იღებდნენ მონაწილეობას შზსუ-ს საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტის სტაჟირების პროგრამაში მონაწილე სტუდენტებიც. ისინი სამი თვის განმავლობაში მონაწილეობდნენ საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტის მიერ დაგეგმილ ღონისძიებებში, ატარებდნენ პრეზენტაციებს აბიტურიენტებისთვის სხვადასხვა სკოლაში. IBSU-ს სტენდთან მოსულ სტუმრებს შეეძლოთ მათთვის სასურველი ინფორმაცია თავად სტუდენტებისგან გაეგოთ. როგორც აღმოჩნდა, სტუმრების უმრავლესობა ძირითადად დაინტერესებული იყო შზსუ-ში მოქმედი შეღავათებითა და გრანტებით.

„გამოცდილება ნამდვილად მივიღე პრეზენტაციების ჩატარების მხრივ, ხოლო რაც შეეხება ბავშვების კითხვებს, ძირითადად აინტერესებდათ შეღავათების თემა და გაცვლითი პროგრამები", - გვითხრა შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის პირველი კურსის სტუდენტმა ნოდარ სირბილაძემ.

„მედია კლუბი" IBSU-ს საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტის ხელმძღვანელს ზვიად ფიფიას გაესაუბრა, რომელმაც აღნიშნა, რომ მსგავსი გამოფენები აბიტურიენტებს სამომავლოდ სწორი არჩევანის გაკეთებაში ეხმარება.

„საინტერესოდ მიმდინარეობდა პროცესი. ვფიქრობ, რომ კმაყოფილია, როგორც ამ გამოფენის მონაწილეები, ასევე - დამთვალიერებლებიც. მათ აქვთ შესაძლებლობა მიიღონ სრული ინფორმაცია უმაღლესი სასწავლებლების შეთავაზებების შესახებ, რაც მათ მისცემს საშუალებას სამომავლოდ გააკეთონ გააზრებული და სწორი არჩევანი", გვითხრა ზვიად ფიფიამ.

შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი მომავალშიც აპირებს მსგავს აქტივობებში ჩართვას.

# ათასწლეულის გამოწვევის ფონდმა IBSU გენდერული თანასწორობისადმი მიძღვნილ კონკურსში დააჯილდოვა



2017 წლის 9 მარტს, ათასწლეულის გამოწვევის ფონდის მიერ ორგანიზებულ კონკურსში „ბიზნესი გენდერული თანასწორობისთვის“ გამარჯვებულები გამოვლინდნენ. ესენი არ იან - კომპანია „ჯეოსელი“, „დიო“ და შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი.

ათასწლეულის გამოწვევის ფონდის ჯილდო „ბიზნესი გენდერული თანასწორობისთვის“ შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტს შემდეგი მიღწევებისთვის გადაეცათ:

აქტიურად უწყობს ხელს გენდერულ თანასწორობას და ქალების მონაწილეობას სხვადასხვა საგანმანათლებლო და შემეცნებით საქმიანობაში. დასაქმებაში გათვალისწინებულია გენდერული ბალანსი და აკადემიური თანამდებობის 40% ქალებს უკავიათ. უნივერსიტეტის ხუთი ფაკულტეტიდან კი - ოთხს ქალი ხელმძღვანელობს.

თანამშრომლებს თანაბარი შესაძლებლობები ეძლევათ, მონაწილეობა მიიღონ სასწავლო პროგრამებში, როგორც საქართველოში, ასევე, მის ფარგლებს გარეთ. უნივერსიტეტი აფინანსებს სოციალურად დაუცველი ქალების და განსაკუთრებული საჭიროების მქონე სტუდენტების სწავლას. დასაქმების პოლიტიკა და საკვალიფიკაციო მოთხოვნები არ ზღუდავს სამუშაოს მაძიებლების სქესს, ასაკსა და ფიზიკურ მონაცემებს. ოჯახური ვალდებულებების მქონე და ორსული ქალები მეტი შეღავათებით სარგებლობენ, სახელფასო პოლიტიკა თანაბარი სამუშაოსთვის თანაბარ ანაზღაურებას უზრუნველყოფს.

# გამოსაშვები ცერემონია 2017



შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტში კურსდამთავრებულთა საზეიმო გამოსაშვები ცერემონია გაიმართა, რომელშიც ხუთივე ფაკულტეტის 300-მდე კურსდამთავრებულმა მიიღო მონაწილეობა.

ადმინისტრაციის წარმომადგენლებთან ერთად დამსწრეებს მისალოცი სიტყვით იმ კურსდამთავრებულებმაც მიმართეს, რომელთაც ფაკულტეტზე ყველაზე მაღალი GPA აქვთ.

ცერემონია კოქტეილითა და ფეიერვერკით დასრულდა.

# მარიამ ჯგუშია - სტუდენტი მრავალფეროვანი ინტერესებითა და ცხოვრების აქტიური წესით

*ლანა წამალაშვილი*

მარიამ ჯგუშია შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტზე ჟურნალისტიკის საბაკალავრო პროგრამის სტუდენტია. უკვე მეორე კურსზე გადავიდა, თუმცა, პროფესიული განვითარება ჯერ კიდევ სკოლაში სწავლისას დაიწყო. მან არაერთ სასკოლო ოლიმპიადაზე მოიპოვა გამარჯვება, უმაღლეს სასწავლებელში ჩაბარებამდე კი აშშ-ში გაცვლითი პროგრამით წასვლა და ინგლისური ენის საფუძვლიანად დაუფლებაც მოასწრო.

მარიამმა თბილისის 166-ე საჯარო სკოლა ოქროს მედლით დაასრულა და სახელმწიფოს 100%-იანი გრანტი მოიპოვა, რაც წლიურ 2250 ლარიან დაფინანსებას ნიშნავს. მართალია, შავი ზღვის უნივერსიტეტში სწავლა შედარებით ძვირი ღირს, თუმცა 100%-იანი სახელმწიფო გრანტის მფლობელ სტუდენტებს უნივერსიტეტი სწავლის საფასურისგან სრულად ათავისუფლებს.

მარიამ ჯგუშია: „2014-2015 წლებში ვსწავლობდი ამერიკაში (მიჩიგანის შტატში) - FLEX (მომავალი ლიდერების გაცვლითი პროგრამა) პროგრამით. იქ ამერიკულ ოჯახში ვცხოვრობდი. ამ პროგრამის მიზანია ლიდერული თვისებებით გამორჩეულმა ბავშვებმა გაიღრმავონ ეს ლიდერული უნარები და გაეცნონ ამერკულ კულტურას. იქ ვსწავლობდი შემოქმედებით წერას, ჟურნალისტიკას, ფსიქოლოგიას, ციფრულ ხელოვნებას და ა.შ. ვიყავი იქაური სკოლის ჟურნალის ერთ-ერთი რედაქტორი და დიზაინერი. ასევე, ამერიკაში ამირჩიეს WYLTE პროგრამის ფინალისტად და ერთი კვირით ვაშინგტონში ვესწრებოდი ტრენერების ტრენინგს, როგორც ინგლისური ენის პოტენციური მასწავლებელი. იქაური სკოლაც - Caledonia High School - აქაური ოქროს მედლის ექვივალენტით (ოქროს თოკით) დავამთავრე“.

მარიამს მიაჩნია, რომ აშშ-ში ყოფნის პერიოდი მისთვის ძალიან პროდუქტიული იყო. ბევრ სფეროში გამოსცადა საკუთარი შესძლებლობები, იცხოვრა მრავალეროვნულ და მრავალკულტურულ გარემოში, ჩართული იყო სხვადასხვა სამოხალისო საქმიანობაში. „ვფიქრობ, ცოდნის მიღება ყველგან შეიძლება, მაგრამ ამერიკაში ამ ცოდნის გასაღრმავებლად და სიახლეების აღმოსაჩენად ის უნიკალური შესაძლებლობები ეძლევა ადამიანს, რომლის ალტერნატივაც საქართველოში ხშირად არ გვაქვს“ .

რატომ აირჩია შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი? ამ კითხვაზე მარიამი პასუხობს, რომ IBSU-ში არის ყველა ის აუცილებელი პირობა, რომელიც სტუდენტს განვითარებასა



და მომავალში წარმატების მიღწევაში ეხმარება. უმაღლესი სასწავლებელი სტუდენტებს სთავაზობს გაცვლით პროგრამებს, ტრენინგებს, პროფესიული სტაჟირების პროგრამებს... **„გავდივარ ძალიან კონკრეტულ, საინტერესო და ნაკლებად ზოგად პროფესიულ საგნებს და მასწავლიან მართლაც საუკეთესო ლექტორები, მათ შორის პრაქტიკოსი ჟურნალისტები, რომლებიც ჩემთვის ყოველთვის იყვნენ და ამჟამადაც არიან ქართული მედიის ავტორიტეტები. ძალიან ბედნიერი ვარ, რომ მათგან ცოდნის მიღების საშუალება მაქვს“**

მრავალხმრივი ინტერესების გამო დიდხანს ვერ ირჩევდა პროფესიას. თუმცა, ბავშვობიდან წერს, ერთი პერიოდი ბლოგიც ჰქონდა, სტატიებსაც ამზადებდა ერთ-ერთი ვებსაიტისთვის. აშშ-ში გაცვლითი პროგრამით სწავლის დროს კი - სასკოლო გაზეთის კორესპონდენტი იყო, სწორედ მაშინ მიეჩვია სტუდენტური ცხოვრების გაშუქებას, მოსწავლეების გამოკითხვას სხვადასხვა თემაზე, ჟურნალისათვის ახალი, კრეატიული შინაარსის მოფიქრებას და ამ გვერდების დიზაინის შექმნას. მრავალფეროვანმა სამუშაომ ძალიან ჩაითრია. მორცხვი არ არის, კომუნიკაბელურობის წყალობით იოლად პოულობს საერთო ენას ყველაზე არაკომუნიკაბელურ ადამიანებთანაც კი; არ უჭირს შეკითხვების დასმა და საკუთარი აზრის საჯაროდ გამოხატვა. „ვფიქრობ, ჟურნალისტიკის მომავალ პროფესიად არჩევა სწორი გადაწყვეტილება იყო. რაც უფრო მეტად ვერთვები პრაქტიკულ საქმიანობაში, მით მეტად ვხვდები, რომ ძალიან მიყვარს ჩემი პროფესია“, ამბობს მარიამი.

შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტში სწავლამ, როგორც თავად ამბობს, მის ცხოვრებაში ბევრი რამ შეცვალა. საინტერესო ადამიანები გაიცნო, ინტერნაციონალური გარემო, რომელსაც ჯერ კიდევ აშშ-ში ყოფნის დროს მიეჩვია, ამ უნივერსიტეტშიც არის. მისი აზრით, უმაღლეს სასწავლებელში სწავლის დროს უფრო მიზანდასახული და შრომისმოყვარე გახდა, შრომას სკოლაშიც არ გაურბოდა, თუმცა, ახლა უფრო კონკრეტული და მიზნობრივი ამოცანების დაძლევა უხდება. **„უნივერსიტეტმა დამარწმუნა საკუთარ შესაძლებლობებში და მივხვდი, რომ სულ ტყუილად ვორჭოფობდი ჩამებარებინა, თუ არა ამ სპეციალობაზე. სწავლის პროცესი არ არის მოსაწყენი, ძალიან საინტერესოა და ლექტორები ყველანაირად გვეხმარებიან სრულფასოვანი ცოდნის მიღებასა და გაღრმავებაში. ეს ყველაფერი ნებისმიერი სტუდენტისათვის უდიდესი სტიმულია“.**

მარიამს ძალიან უყვარს ცეკვა. ბავშვობაში ქართულ ხალხურ ცეკვებზე დადიოდა, არ მოეწონა, ჩათვალა, რომ ცეკვა არ გამოსდიოდა. 15 წლის ასაკში კი, თანამედროვე ცეკვების სტუდიაში მივიდა და მას მერე ცეკვის გარეშე სიცოცხლე ვერ წარმოუდგენია. ამბობს, რომ „ცეკვა აბედნიერებს“ ,ამერიკაში ყოფნის დროსაც სკოლის ცეკვის გუნდის კაპიტანი იყო, გამორჩეული კაპიტნობისთვის შტატმა სპორტული ჯილდოც გადასცა. „ახლაც ვცეკვავ, ყველგან - სტუდიაში, უნივერსიტეტში, ქუჩაში, მოლში, წვეულებებზე. განსაკუთრებით ჰიპ-ჰოპი და jazz-funk მიზიდავს. მე და ჩემმა მეგობრებმა IBSU-ში ჩირლიდერების კლუბიც კი ჩამოვაყალიბეთ. აქტიურად ვატარებთ რეპეტიციებს და იმედი მაქვს, მალე ვიქნებით მზად უნივერსიტეტის სპორტული გუნდების გასამხნევებლად”.

მარიამ ჯგუშია მთარგმნელობით საქმიანობასაც ეწევა და ჯერჯერობით ინგლისურიდან ქართულ ენაზე თარგმნის. წელს გამომცემლობა „პალიტრა L“-თან გააფორმა კონტრაქტი და ინგლისური ენიდან უკვე თარგმნა დეშილ ჰემეთის დეტექტივი „მალტის შევარდენი“. წიგნი ივნისში გამოვა.

ამბობს, რომ წინსწარ არაფერს გეგმავს „ვცდილობ ყოველთვის გავაკეთო ის, რაც იმ დღეს, ან იმ კვირას მსურს, რომ გავაკეთო. ამიტომ კონკრეტული გეგმები, რისი წინასწარ გამხელაც შემიძლია, ცოტა მაქვს. სურვილები კი ნამდვილად ბევრია. ძალიან მინდა სწავლა საზღვარგარეთ გავაგრძელო, გაცვლითი პროგრამით ისევ ვეწვიო ამერიკას, ან - სხვა დასავლურ ქვეყანას. რა თქმა უნდა, ჟურნალისტური საქმიანოაბა ჩემი მომავლის განუყოფელი ნაწილია, თუმცა ჯერ მინდა მაქსიმალურად ბევრ სფეროში გამოვცადო საკუთარი შესაძლებლობები, ვიმოგზაურო, ვიკვლიო, ახლის აღმოჩენის შანსი არ გავუშვა ხელიდან და განვვითარდე პიროვნულად“.

# „გლობალური მმართველობა”

## სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტზე სტუდენტური კონფერენცია გაიმართა

*მეგი ინწკირველი, ლელა გულბანი*

სტუდენტური კონფერენცია სახელწოდებით „გლობალური მმართველობა” შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტში 2017 წლის 1 ივნისს გაიმართა. სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის სასწავლო პროცესის ფარგლებში ჩატარებული ეს შემაჯამებელი ღონისძიება საჯარო ადმინისტრირებისა და სახელმწიფო მმართველობის, საერთაშორისო ურთიერთობებისა და ჟურნალისტიკის პროგრამის სტუდენტების გამოსვლებს დაეთმო.



**ნინო კერესელიძე, კონფერენციის ორგანიზატორი, მოწვეული ლექტორი.**

კონფერენცია მისალმებითი სიტყვით გახსნა უნივერსიტეტის რექტორმა, ილიას ჩილოღლუმ. მან დამსწრეებს მადლობა გადაუხადა სასწავლო პროცესში გაწეული შრომისათვის, სტუდენტებს კი კონფერენციაში მონაწილეობისთვის სერტიფიკატები გადასცა. “სწავლებაში საჭიროა იყოს სხვადასხვაგვარი მიდგომა და არა ერთფეროვანი სისტემა. როდესაც სტუდენტი კონფერენციაზე სიტყვით გამოდის, მას კვლევისა და კომუნიკაციის უნარი უვითარდება. ამიტომ ძალიან დადებითად ვაფასებ ასეთ ღონისძიებებს", – აღნიშნა “მედია კლუბთან“ საუბრისას რექტორმა.

კონფერენციაზე 80-ზე მეტმა სტუდენტმა წარმოადგინა მოკლე მოხსენება. პარალელურ რეჟიმში დარიგდა მასალების პრეზენტაციები და გაკეთდა პოსტერები. მასალები ძირითადად მოიცავდა სამ საგანში, „შესავალი პოლიტიკურ მეცნიერებებში,“ „შედარებითი პოლიტიკისა“ და „საერთაშორისო ურთიერთობების“ შუალედური გამოცდისათვის ჩატარებულ 150-მდე დამოუკიდებელ კვლევას.

ინდივიდუალურ, წყვილსა და ჯგუფში მომზადებული ერთობლივი მოხსენებები ეხებოდა გლობალური მნიშვნელობის მქონე თემებს, მათ შორის უსაფრთხოებას, სუვერენიტეტს, მედიას, პლანეტარულ ურბანიზაციას, ასევე სოციალიზმის, პოსტკოლონიალიზმისა და გენდერის თეორიულ მიდგომებს.

საკვლევი თემებიდან ერთ-ერთი იყო „მედია, როგორც მეოთხე ხელისუფლება, საქართველოში 2007-2017 წლებში.“ კვლევაზე საჯარო ადმინისტრირებისა და სახელმწიფო მმართველობის სტუდენტებმა ანა იმერლიშვილმა და მაია დადიანმა იმუშავეს. მათი თქმით, ამ თემაზე მუშაობის სურვილი მედიის დამოუკიდებლობის საკითხის აქტუალობამ განაპირობა. „ვფიქრობ, ძალიან საინტერესო აღმოჩნდა კვლევის პროცესი. მედიის თავისუფლების საკითხის კვლევისას ინტერვიუ ჩავწერეთ მედიაექსპერტებთან და სხვადასხვა პოლიტოლოგთან. თეორიული ხედვაც პირველად ჩავრთეთ ნაშრომში, რამაც დიდი გამოცდილება მოგვცა,“ გვითხრა ანა იმერლიშვილმა.

კონფერენციის ინიციატორისა და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის მოწვეული ლექტორის ნინო კერესელიძის თქმით, „მოხსენებებში მკაფიოდ ჩანდა საკითხების ორიგინალური კვლევა. სტუდენტებმა გამოიყენეს ისეთი მეთოდები, როგორიცაა – მაგალითის ხერხი, ლიტერატურის მიმოხილვა, დოკუმენტის ანალიზი და თეორიული ჩარჩოს მისადაგება. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, რომ სტუდენტებმა შვიდ კვირაში უკვე შეძლეს თავისთავადი კვლევის ჩატარება. ამგვარი კვლევითი დიზაინის გამოყენებით და მათზე განმავითარებელი კომენტარების გაზიარებით, საფუძველი ეყრება სტუდენტების საბაკალავრო, სამაგისტრო და სადოქტორო ნაშრომის გამართულად შექმნას,“ აღნიშნა ნინო კერესელიძემ.

კონფერენციაზე შესავალი სიტყვით გამოვიდა მოწვეული სტუმარი, 2009-2013 წლებში საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი დიდ ბრიტანეთში და საქართველოს მუდმივი წარმომადგენელი გაეროს სპეციალიზირებულ დაწესებულებაში საერთაშორისო საზღვაო ორგანიზაციაში (UN IMO) გიორგი ბადრიძე, რომელმაც ბრიტანეთის ევროკავშირიდან გამოსვლის შედეგებზე ისაუბრა: „ევროკავშირის დატოვების თაობაზე დიდ ბრიტანეთში ჩატარებული რეფერენდუმიდან (ბრექსიტიდან) თითქმის ერთი წელი გავიდა. ბრექსიტის ნეგატიური შედეგები უკვე თვალნათლივ ჩანს. ამასთან, შესაძლოა, ბრექსიტი ევროპისთვის გამომაფხიზლებელი



**გიორგი ბადრიძე, ბრიტანეთში საქართველოს ელჩი, სტუდენტური კონფერენციის საპატიო სტუმარი**

იყოს და ევროკავშირში ჯანსაღ ძალებს პოპულიზმთან დაპირისპირებაში მეტი შანსი მისცეს. პოპულიზმი ძალიან სახიფათო მოვლენაა, ის იყენებს დემოკრატიას იმისათვის, რომ დემოკრატიისთვის საპირისპირო შედეგები მიღოს. რაც შეეხება დღევანდელ კონფერენციას, სტუდენტური კვლევების საჯაროდ წამოდგენა განათლებული და წარმატებული თაობის აღზრდის ეფექტიანი მეთოდია. მინდა მივესალმო უნივერსიტეტს და მადლობა ვუთხრა ქალბატონ ნინო კერესელიძეს ამ ინიციატივის გამო“, გვითხრა გიორგი ბადრიძემ.

მსგავსი კონფერენციების ჩატარება სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტზე სამომავლოდაც იგეგმება.

# მაისში უნივერსიტეტში რიგით მეოთხე კულტურის ფესტივალი გაიმართა

*ხატია ძნელაძე, სალომე მუხიგულაშვილი*

შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტში 2017 წლის გაზაფხულზე რიგით მეოთხე კულტურის საერთაშორისო ფესტივალი გაიმართა. უნივერსიტეტში 20 სხვადასხვა ქვეყნის სტუდენტი სწავლობს. ფესტივალის ფარგლებში სტუდენტებმა მათი ქვეყნის ტრადიციები, კულტურა და თავისებურებები წარმოაჩინეს.



მთელი დღის განმავლობაში იმართებოდა სახალისო თამაშები, კონკურსები, სტუდენტების ფოტოგამოფენა და კონცერტი, რომელშიც სხვადასხვა ქვეყნის წარმომადგენლებიც იღებდნენ მონაწილეობას.

კულტურის ფესტივალს 2014 წელს ჩაეყარა საფუძველი და მას შემდეგ ყოველწლიურად ტარდება. უნივერსიტეტის პრორექტორმა რამაზან აკბაშმა, რომელიც წელს კულტურის ფესტივალის ორგანიზატორი იყო, „მედია კლუბთან“ საუბრისას განაცხადა: „სასურველია, რომ ჩვენ უნივერსიტეტში სასწავლებლად ჩამოსულმა სხვადასხვა ეროვნების სტუდენტებმა უკეთ გაიცნონ ერთმანეთი. ამ ფესტივალზე სტუდენტებს საშუალება ეძლევათ თავიანთი ქვეყნის ტრადიციული კერძები, თუ სამოსი წარმოადგინონ. სწორედ ამიტომაც ვმართავთ ამ ფესტივალს. ეს გამოარჩევს ჩვენ უნივერსიტეტს სხვა უნივერსიტეტებისგან. როგორც ვიცი, საქართველოს განათლების და მეცნიერების სამინისტროს ერთ-ერთი მიზანია უცხოელი სტუდენტები ჩამოვიდნენ საქართველოში და მიიღონ საერთაშორისო განათლება. ამ მიზნის შესრულებაში ჩვენ უნივერსიტეტს დიდი წვლილი აქვს შეტანილი. ეს უკვე მეოთხე ღონისძიებაა და ჩვენ ნამდვილად კმაყოფილები ვართ ყოველი ჩატარებული ფესტივალით.“

შზსუ-ს პროფესორმა ირინე ბახტაძემ ჩვენთან საუბრისას აღნიშნა: „აქ უამრავი ადამიანია თავმოყრილი, აგრეთვე, საოცარი გარემო არის შექმნილი. ასეთი ფესტივალები ნამდვილად ეხმარება აქ წარმოდგენილ ქვეყნის კულტურებს შორის ურთიერთგაგების ზრდას. სხვადასხვა ეროვნების წარმომადგენლები ერთმანეთს საკუთარი ქვეყნის ტრადიციებს აცნობენ და უფრო უახლოვდებიან.

კულტურათა შორის დიალოგი და კავშირი ჩვენი უნივერსიტეტის ნიშაა. მაგალითად, გუშინ უნივერსიტეტში ჩატარდა მსგავსი ტიპის ღონიძიება, რომელშიც მონაწილეობას იღებდნენ ლექტორები და სტუდენტები, რომლებმაც წაიკითხეს სხვადასხვა ენაზე ლიტერატურის მრავალფეროვანი ნიმუშები. ორივე ღონისძიება საოცრად შთამბეჭდავი გამოვიდა და დარწმუნებული ვარ, რომ ეს კიდევ უფრო მასშტაბურ სახეს მიიღებს. სამყარო ერთიანია ამ სიჭრელითა და სილამაზით. საბოლოო ჯამში ეს ყველაფერი ქმნის იმ ხალისს, რაც ასე აუცილებელია უნივერსიტეტისათვის.“

ჩვენ გავესაუბრეთ შზსუ-ის სტუდენტებს. მათი ნაწილი ქვეყნების წარმოსაჩენად მოწყობილი სპეციალური კუთხეების წარმომადგენელი იყო, ნაწილი კი - უბრალოდ დამთვალიერებლი.

ჯუბა ხუციშვილი: „ძალიან კარგი დღეა, მომწონს. მისასალმებელია ასეთი ღონისძიებების ჩატარება. ამ დროს სტუდენტურ ცხოვრებას უფრო შეიგრძნობ, სწორედ ეს მულტიკულტურული გარემოა ჩვენთვის საინტერესოც და სასურველიც“

სტუდენტი სანდრო მენაბდე აშშ-ს კუთხის ერთ-ერთი შემქმნელი და წარმომადგენელი იყო: „ჩვენ პოპულარიზებას ვუწევთ ამერიკათმცოდნეობას. გვაქვს ბურგერები, ფრი, დონატები და კიდევ ერთი ნიუ ორლეანური საჭმელი, რომელსაც ჰქვია ჯამბალაია და რომელიც არის ძალიან ცხარე. აგრეთვე, საჩუქრად გვაქვს სხვადასხვა წიგნები, იმისთვის, რომ მოიგონ საჭიროა ტესტის სწორად შესრულება. მეორე თამაში მდგომარეობს შემდეგში, იკეთებ ყურსასმენებს, არაფერი გესმის გარდა მუსიკისა, მეორე მონაწილე გეუბნება რაღაც სიტყვას და ეს სიტყვა უნდა გამოიცნო, თუ გამოიცანი, მაშინ იღებ საჩუქრად რომელიმე ამერიკულ საკვებს, ან - წიგნს.“

სტუდენტი ალისა ოროსული სომხური კუთხის მასპინძელი იყო: „ამ ფესტივალში მეორედ ვმონაწილეობ. ვთვლი, რომ სახალისოა, განსკუთრებით საინტერესოა საკონცერტო ნაწილი. თითოეული ქვეყანის ჯგუფი წარმოადგენს თავიანთ სიმღერებს, ცეკვებს და, როგორც ხედავთ, აქ ქვეყნების სტენდებია. ჩვენ სტენდზე ისტორიის მიმოხილვაც არის, აგრეთვე უამრავი კერძია. საჭმელებიდან წარმოდგენილია: სომხური ტოლმა, მაწონი, სომხურ ლავაში გახვეული სუჯუყი, ბასტურმა, კანფეტები, შოკოლადები, სომხური ქადები, გარგარი და სხვა.“

გია ნატროშვილი, რომელიც უკვე ათი წელია ჩვენი უნივერსიტეტის გარე ფასადის მოწესრიგებაში გვეხმარება, ამბობს, რომ უყვარს ახალი თაობა, ღიმილი და ბედნიერი სახეები. გია ნატროშვილი: „აუცილებლად უნდა ტარდებოდეს მსგავსი ღონისძიებები, სწორედ ამაში მდგომარეობს ჩვენი უნივერსიტეტის ხიბლი“.

# კომპიუტერული ტექნოლოგიებისა და საინჟინრო საქმის ფაკულტეტი „პროგრამირების საათს“ შეუერთდა

*ცოტნე კვირტია, გვანცა გახოკიძე*



**მარიამ ქსოვრელი კომპიუტერული პროგრამირებისა და საინჟინრო ფაკულტეტის სტუდენტი**

„პროგრამირების საათი“ (“The hour of code“) არის კომპიუტერული მეცნიერებების ერთსაათიანი საერთაშორისო ღონისძიება, რომელიც მსოფლიო მასშტაბით ძალიან ბევრ ქვეყანაში ტარდება. მისი მიზანია, სტუდენტებსა და მოსწავლეებს წარმოდგენა შეუქმნას კომპიუტერული ტექნოლოგიების შესაძლებლობებზე. 2016-2017 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრში ამ საერთაშორისო ღონისძიებაში შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის კომპიუტერული ტექნოლოგიების ფაკულტეტიც ჩაერთო.

„კოდირების საათი“ (Hour of Code) ონლაინ ვებინარია, რომლის მიზანიც იმისი დემონსტრირებაა, რომ კომპიუტერული კოდირების დაუფლება და პროგრამირება ყველას შეუძლია. კომპიუტერული მეცნიერების ერთსაათიანმა შესავალმა კოდურ საათში გაამარტივა ‘‘კოდის’’ დიზაინი და, ამასთანავე, საზოგადოებაში დანერგა აზრი, რომ კოდირების სწავლა ყველასთვის ხელმისაწვდომია, ასეთი დამოკიდებულება ხელს უწყობს კომპიუტერული მეცნიერებების სფეროს განვითარებას.

ღონისძიება ინტერნეტის საშუალებით იმართება და მასში მონაწილეობა მსოფლიოს ყველა ქვეყნის წარმომადგენელს შეუძლია, თუკი, რა თქმა უნდა, ინტერენეტთან წვდომა აქვს და კომპიუტერს იმ დონეზე მაინც ფლობს, რომ ვებინარში მონაწილეობის მისაღებად ონლაინ რეგისტრაცია გაიაროს.

**ინფორმატიკის საგანმანათლებლო კვირეული ყოველწლიურად იმართება ადმირალ გრეის მურეი ჰოფერის დაბადების დღეზე (1906 წლის 9 დეკემბერი). ქალბატონი მიურეი იყო ერთ-ერთი პირველი პროგრამისტი და აშშ-ს არმიის ოფიცერი, მან პროგრამირების ენის გამარტივებასა და პოპულარიზაციაში განსაკუთრებული წვლილი შეიტანა.**

„The hour of code“ საყოველთაოდ ცნობილი საერთაშორისო კონსორციუმების მხარდაჭერით იმართება. მათ შორის ისეთების, როგორიცაა - ‘‘Microsoft’’, ‘‘Apple’’, ‘‘Amazon’’...

2016 წელს ეს კვირეული 5-დან 11 დეკემბრის ჩათვლით ჩატარდა. საქართველოში პირველად „Hour of code“-ში მონაწილეობა 2016 წლის 9 დეკემბერს შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტმა მიიღო.

ოთარ ესართია შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის პირველი კურსის სტუდენტია, რომელიც კომპიუტერული ტექნოლოგიებისა და საინჟინრო საქმის ფაკულტეტზე, ინფორმატიკას ეუფლება. ის ღონისძიების ერთ-ერთი მონაწილე და ორგანიზატორია.

*„The hour of code“-ში არის პროგრამირების ელემენტარული საკითხები, მაგალითად: „ფაზლებით“ (თავსატეხებით) სხვადასხვა ბრძანებების შედგენა, მათი ერთობლიობა, რომელიც საბოლოოდ რაღაც შედეგს აღწევს. ჯერ ჩავატარეთ პრეზენტაცია კომპიუტერულ მეცნიერებებზე: რა არის პროგრამირება? როგორ და რა სახით შეუძლია აღიქვას კომპიუტერს ჩვენი ბრძანებები? და შემდეგ უკვე მოსწავლეებს გავაცანით „ფაზლებით“ პროგრამირება ‘’Drag and Drop’’,* გვითხრა ოთარმა

მარიამ ქსოვრელი, ოთოს მსგავსად, შავი ზღვის საერთაშრისო უნივერსიტეტში კომპიუტერული ტექნოლოგიებისა და საინჟინრო საქმის ფაკულტეტზე სწავლობს. სწორედ მან ჩაატარა პრეზენტაცია და გააცნო კომპიუტერული ტექნოლოგიები მოსწავლეებს, ეხმარებოდა მათ ე.წ. ფაზლების შედგენაში და მათი მეშვეობით კომპიუტერული ტექნოლოგიების ადვილად შემეცნებაში

*„ჩვენ ავირჩიეთ კომპიუტერული თამაში ‘’Minecraft’’. მართალია, შესაძლებელი იყო მულტფილმის გმირებზეც გაგვეკეთებინა, მაგრამ ბავშვების უმეტესობას დღესდღეობით ძალიან მოსწონს თამაში ‘’Minecraft’’ და ჩავთვალეთ, რომ მათთვის ამ თამაშის საშუალებით შემეცნება და სწავლება ბევრად უკეთესი, საინტერესო და მარტივი იქნებოდა. ძალიან დიდი გამოცდილება მივიღე, როგორც ბავშვებთან ურთიერთობაში, ასევე -პრეზენტაციის წარდგენის პროცესში.“*

კოდური საათის მიზანი არ არის ერთ საათში მსმენელებისგან კომპიუტერული მეცნიერის, ანდა ექსპერტის აღზრდა. ერთი საათი მხოლოდ იმის დემონსტრირებისთვისაა საჭირო, რათა ყველამ გაიგოს - კომპიუტერული მეცნიერება სახალისო და კრეატიულია, რომ ის ყველასთვის ხელმისაწვდომია, მიუხედავად ასაკისა, სქესისა, პროფესიისა და წარსული გამოცდილებისა. ამ კამპანიის წარმატება არ იზომება იმით, თუ რამდენს ისწავლის კომპიუტერული მეცნიერებების სტუდენტი. უმთავრეს წარმატებას წარმოადგენს განსხვავებული სქესის და ეთნიკური ჯგუფების წარმომადგენლების მონაწილეობა და კომპიუტერული მეცნიერებების კურსზე მონაწილეთა და ჩარიცხულთა რაოდენობის გაზრდა.



**აშშ-ს საჯარისო ძალების ადმირალი, ქალბატონი გრეის მიურეი, რომელიც 86 წლის ასაკში გარდაიცვალა, აშშ-ს პრეზიდენტმა ბარაკ ობამამ გარდაცვალებიდან 15 წლის შემდეგ თავისუფლების საპრეზიდენტო მედლით დააჯილდოვა**

# მერსი ტემბონის საჯარო ლექცია IBSU-ში



12 აპრილს, ბიზნესის მართვის ფაკულტეტმა მსოფლიო ბანკის რეგიონულ დირექტორს სამხრეთ კავკასიაში, მერსი ტემბონს უმასპინძლა. ქალბატონმა ტემბონმა სტუდენტებთან ისაუბრა მსოფლიო ბანკის მნიშვნელობაზე მსოფლიოსა და საქართველოში და იმ გამოწვევებზე რომელთა წინაშეც დგას მსოფლიო ბანკის გუნდი. ქალბატონი ტემბონი, წარმოშობით კამერუნიდანაა, ბანკს 2000 წელს შეუერთდა, როგორც განათლების სპეციალისტი აფრიკის რეგიონის მოსახლეობის განვითარების დეპარტამენტში. მას დოქტორის ხარისხი მინიჭებული აქვს განათლების ეკონომიკაში ლონდონის უნივერსიტეტიდან. მის ტემბონი არის მრავალი პუბლიკაციის ავტორი მათ შორის „გოგონათა განვითარება 21-ე საუკუნეში: გენდერული თანასწორობა“, „ეკონომიკური ზრდის გაძლიერება“ 2008 წლის ივლისში, მისი უახლესი პუბლიკაციაა: „დაკარგული გოგონები სამხრეთ კავკასიაში“, რომელიც გამოქვეყნდა 2015 წლის აპრილში. დაგროვილი აქვს გამოცდილება, როგორც სხვადასხვა რეგიონში ადამიანური რესურსების განვითარებაში, ასევე ტექნიკურ და ადმინისტრაციულ პოზიციებზე აფრიკის რეგიონში. მისი სამუშაო გამოცდილება მოიცავს კლიენტებთან ურთიერთობას, ქვეყნის სტრატეგიული პროგრამების დაგეგმარებასა და ეფექტური პარტნიორობის განვითარებაში. მას ეკავა ისეთი წამყვანი პოზიციები, როგორიცაა: ქვეყნის აღმასრულებელი დირექტორის პოსტი ტანზანიაში და ქვეყნის მენეჯერი ბურკინა ფასოში.

# ORAU-ის ვიცე-პრეზიდენტთან ტონი ლესტერთან შეხვედრა გაიმართა



შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის ბიზნესის მართვის ფაკულტეტის წარმომადგენლებს ორგანიზაცია - Oak Ridge Associated Universities (ORAU) - ის ვიცე პრეზიდენტი, ტონი ლესტერი შეხვდა. ოკრიჯის ასოცირებული უნივერსიტეტები (ORAU) სამეცნიერო და ტექნიკური გადაწყვეტილების მიმღებია, რომელიც მომხმარებელს სთავაზობს სპეციალიზებული ექსპერტების ჯგუფს, უნიკალურ ლაბორატორიულ შესაძლებლობებს და წვდომას 100-ზე მეტ კვლევით უნივერსიტეტზე. მოწვეულმა სტუმარმა დაწვრილებით ისაუბრა ორგანიზაციის შესახებ და კურსდამთავრებულების, კერძოდ სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამების სტუდენტებისათვის კვლევით პროექტებში ჩართულობის შესაძლებლობების შესახებ. ორივე მხარემ განიხილა უახლოეს მომავალში საინტერესო ერთობლივი პროექტების, სემინარებისა და საჯარო ლექციების ჩატარების პერსპექტივები.

# IBSU NEWS

IBSU




## შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტში

ინგლისურენოვანი და ქართულენოვანი საბაკალავრო, სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამა 5 ფაკულტეტზე ფუნქციონირებს.

★ ბიზნესის მართვის ფაკულტეტი ★ კომპიუტერული ტექნოლოგიებისა და საინჟინრო საქმის ფაკულტეტი ★ სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტი ★ განათლებისა და ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი ★ სამართლის ფაკულტეტი.

IBSU აერთიანებს მეცნიერებს, სპეციალისტებსა და სტუდენტებს მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნიდან, რაც საერთაშორისო დონის მაღალი ხარისხის განათლებას უზრუნველყოფს.

ჩვენი სტუდენტები კონკურენტუნარიანები არიან მსოფლიოს მასშტაბით. მათ საშუალება ეძლევათ მონაწილეობა მიიღონ გაცვლით პროგრამებში და ისწავლონ ევროპის, აზიისა და ამერიკის წამყვან უნივერსიტეტებში. უნივერსიტეტი ცდილობს მოერგოს სტუდენტის ინდივიდუალურ საჭიროებას და კომფორტული სასწავლო გარემო შეუქმნას. საგანმანათლებლო საქმიანობის პარალელურად, უნივერსიტეტი აქტიურად ზრუნავს სტუდენტების სოციალურ-კულტურულ და სპორტულ ცხოვრებაზე.



საჯარო ლექციებზე დასწრება, ადგილობრივ თუ საერთაშორისო კონფერენციებში მონაწილეობა; იმიტირებული სასამართლო პროცესების გამართვა; ბიბლიოთეკაში ნებისმიერ სასწავლო სახელმძღვანელოზე და განახლებად ელექტრონულ ლიტერატურაზე ხელმისაწვდომობა; 90-ზე მეტ პარტნიორ უნივერსიტეტში საერთაშორისო გაცვლით პროგრამაში მონაწილეობა; 30-ზე მეტ განსხვავებული მიმართულების სტუდენტური კლუბის საქმიანობაში ჩართვა; სპორტის სხვადასხვა სახეობის ჩემპიონატში მონაწილეობა და სპორტდარბაზში, კალათბურთის მოედანზე, ღია და დახურულ სტადიონებზე ვარჯიში; ექსკურსიებზე, პიკნიკებსა და ლაშქრობებზე არაფორმალურ გარემოში განტვირთვა – ეს იმ შესაძლებლობების მოკლე ჩამონათვალია, რომელსაც უნივერსიტეტი სტუდენტს სთავაზობს.

## IBSU-ს საგრანტო სისტემა

### "გრანტს+გრანტი"

თუ ხარ 100%-იანი სახელმწიფო გრანტის მფლობელი, მიიღებ IBSU-ს 70%-იან გრანტს;

თუ ხარ 70%-იანი სახელმწიფო გრანტის მფლობელი, მიიღებ IBSU-ს 50%-იან გრანტს;

თუ ხარ 50%-იანი სახელმწიფო გრანტის მფლობელი, მიიღებ IBSU-ს 30%-იან გრანტს.

### ოქროსა და ვერცხლის მედალოსნები

- თუ ხარ სახელმწიფო გრანტის მფლობელი, საჯარო და კერძო სკოლების ოქროს ან ვერცხლის მედალოსანი, შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი, 4 წლის განმავლობაში, 100% და 70% და 50% -იანი გრანტით დაგაფინანსებს.
- თუ ხარ 100%-იანი სახელმწიფო გრანტის მფლობელი, მიიღებ IBSU-ს 100%-იან გრანტს;
- თუ ხარ 70%-იანი სახელმწიფო გრანტის მფლობელი, მიიღებ IBSU-ს 70%-იან გრანტს;
- თუ ხარ 50%-იანი სახელმწიფო გრანტის მფლობელი, მიიღებ IBSU-ს 50%-იან გრანტს.

### რა შემთხვევაში მიიღებ შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის სხვა დაფინანსებას?

- თუ შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის პროგრამებს (კოდი 064) უპირატესობას მიანიჭებ და უნივერსიტეტების ჩამონათვალში პირველს ჩაწერ, 20%-იან დაფინანსებას მიიღებ;
- შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის ყოველწლიური სასკოლო ოლიმპიადის პირველ ორმოცდაათეულში მოხვედრისას, უნივერსიტეტისგან მიიღებ სრულ ან ნაწილობრივ დაფინანსებას (I ადგილი - 100% დაფინანსება; II-III ადგილი - 75% დაფინანსება; IV-X ადგილი - 50% დაფინანსება; XI-XXV ადგილი 20% დაფინანსება);
- თუ ხარ საქართველოს 2016-2017 სასწავლო წლის ეროვნულ-სამეცნიერო ოლიმპიადის მონაწილე, გადახვედი III ტურში და ამავე დროს აიღე ნებისმიერი ოდენობის სახელმწიფო გრანტი, უნივერსიტეტისგან მიიღებ 100%, 70% და 50%-იან დაფინანსებას;
- თუ ხარ საქართველოს ეროვნული ნაკრების სპორტსმენი, შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი სწავლის საფასურის 50%-ს დაგიფინანსებს;
- თუ შენი ოჯახის წევრი (დედა, მამა, და, ძმა) არის შეიარაღებული ძალების მოქმედი წარმომადგენელი რომელიც ARMY CARD-ის მფლობელია, შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტში 50 %-იანი ფასდაკლებით ისარგებლებ.
- თუ ხარ "ჩაღლარის" საგანმანათლებლო დაწესებულების კურსდამთავრებული, შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტისგან 50%-იან დაფინანსებას მიიღებ.

N2, დავით აღმაშენებლის ხეივანი მე-13კმ,
თბილისი, 0131, საქართველო
+ 995 32 259 50 05/06/09

# ელჩებთან შეხვედრები შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტში

*საჯარო შეხვედრების მიმოხილვა*



## შვეიცარიის ელჩი IBSU-ში

შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტში შვეიცარიის ელჩი საქართველოში, ლუკას ბეგლინგერი იმყოფებოდა. სტუდენტებთან შეხვედრის თემა იყო "შვეიცარიული ნოუ ჰაუ - რა უნდა ისწავლოს საქართველომ შვეიცარიისგან". ვიზიტის ფარგლებში IBSU-ს სხვადასხვა მიმართულების სტუდენტებს ელჩთან შეკითხვების დასმის და დისკურსიის შესაძლებლობა მიეცათ.

## საფრანგეთის ელჩის ვიზიტი IBSU-ში

შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტს, საფრანგეთის ელჩი საქართველოში, პასკალ მენიე ეწვია და ფრანგული ენის კაბინეტი გახსნა. დამსწრე აუდიტორიას ელჩი საფრანგეთის საგარეო პოლიტიკასა და გამოწვევებზე ესაუბრა, საუბარში შეეხო ასევე საფრანგეთი-საქართველოს ურთიერთობასაც. მიღების ოფიციალური ნაწილის ფარგლებში სპეციალურმა სტუმრებმა საფრანგეთში სწავლის გაგრძელების შესაძლებლობების შესახებ პრეზენტაციაც გამართეს.





## პოლონეთის ელჩი IBSU-ს სტუმრად

შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტში მაღალი რანგის დიპლომატების ვიზიტი გრძელდება. ამჯერად IBSU-ში პოლონეთის ელჩი მარიუშ მაშკიევიჩი იმყოფებოდა და სტუდენტებთან პოლონეთ-საქართველოს ურთიერთობაზე, ვარშავისა და ევროკავშირის, ასევე ნატოსთან ურთიერთობაზე ისაუბრა.

## რუმინეთის ელჩი რადუ ჰორუმბა IBSU-ს ეწვია

რუმინეთის ელჩი რადუ ჰორუმბა შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტს ესტუმრა. ის უნივერსიტეტის რექტორს ილიას ჩილოღლუს შეხვდა და შავი ზღვის რეგიონის უსაფრთხოებაზე სტუდენტებთან ლექცია-დისკურსია გამართა, რომლის ფარგლებშიც IBSU-ს საერთაშორისო ურთიერთოების სტუდნეტებს შესაძლებლობა ჰქონდათ მაღალი რანგის სტუმრისგან, მათთვის საინტერესო შეკითხვებზე პასუხები მიეღოთ.



## ბიზნესის მართვის ფაკულტეტის სტუდენტების წარმატება



შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის, ბიზნესის მართვის ფაკულტეტის სტუდენტებმა საერთაშორისო პროექტ "რიგის ფინანსურ გამოწვევაში" მიიღეს მონაწილეობა და მესამე, მეოთხე ადგილები დაიკავეს. კონკურსში 30-მდე ქვეყნიდან 120 გუნდი იყო წარმოდგენილი, საიდანაც 10 საუკეთესო შეირჩა, მათ შორის IBSU-ს ფინანსების მიმართულების სტუდენტები. ერთ-ერთი მონაწილის, გიორგი სლანიშვილის თქმით, აღნიშნული პროექტი მრავალმხრივ სასარგებლო იყო მათთვის, მიიღეს გამოცდილება მსგავს მასშტაბურ პროექტებში მონაწილეობისა, ასევე ნაყოფიერი იყო პროფესიული ცოდნის შესაძენად. "მინდა ხაზი გავუსვა, რომ ჩვენ კონკურენციის გაწევა მოგვიწია არა მხოლოდ ბაკალავრიატის სტუდენტებთან, არამედ მაგიტრატურისა, რაც კიდევ უფრო ზრდიდა კონკურენციას. პროფესიულ ცოდნასთან ერთად მოგვეთხოვებოდა საქმის კრეატიული გადაწყვეტა, ამიტომ ორმაგად საინტერესო იყო ეს კონკურსი" - ამბობს გიორგი სლანიშვილი.

## დოქტორ ლუკ პროდრომოს ლექცია "შექსპირის დაუდგრომელი ქალბატონები"



შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის განათლებისა და ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ორგანიზებით ცნობილმა განათლების სპეციალისტმა, მასწავლებელმა და წიგნების ავტორმა დოქტორ ლუკ პროდრომომ ამავე ფაკულტეტის სტუდენტებისთვის ლექცია გამართა თემაზე "შექსპირის დაუდგრომელი ქალბატონები - ენა, უფლებები, იდენტობა". დოქტორმა პროდრომომ სტუდენტებს შექსპირის დრამატურგიის ძირითადი ასპექტები აუხსნა, მიმოიხილა მისი პიესების ბუნება და დეტალურად გააანალიზა ქალი პერსონაჟების ხასიათი. სტუდენტები აქტიურად ჩაერთვნენ მსჯელობაში, შეხვედრამ განსაკუთრებული მოწონება დაიმსახურა.

# წარმატებული კურსდამთავრებულები გვირჩევენ...

*სოფი თოფურია, ხატია ძნელაძე*

შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი უკვე 22 წელია არსებობს, ამ ხნის განმავლობაში უმაღლესი სასწავლებელი 1800-მდე სტუდენტმა დაასრულა. შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის კურსდამთავრებულების უმრავლესობა იოლად საქმდება და წარმატებულ კარიერულ გზასაც იწყებს. ამ სტატიაში ორ კურსდამთავრებულს გაგაცნობთ.



**ანა გოგოლაძე: „IBSU-მ მომცა განათლება, საკუთარი თავის რწმენა, ისეთი უნარები, რომლებიც ძალიან პროდუქტიულად გამოვიყენე“.**

ანა გოგოლაძემ 2015 წელს სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის, ეკონომიკის საბაკალავრო პროგრამა დაამთავრა. ანა ახლა საქართველოს პარლამენტში თავისი სპეციალობით აგრძელებს მუშაობას. პარლამენტში სამსახურის დაწყებამდე ანამ მაგისტრატურა ჰოლანდიაში გაიარა. შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტში სწავლის დროს კი უნივერსიტეტის დახმარებით ორჯერ გაიარა სტაჟირება თურქეთში ბანკ „აზიის“ ცენტრალურ ფილიალში და ტკბილეულის ერთ-ერთ მწარმოებელ კომპანიაში ექსპორტის დეპარტამენტში. სტუდენტობის დროს საქართველოში ის ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სტაჟიორი იყო.

ჩვენთან საუბრისას ანამ გაიხსენა, თუ როგორ მოხვდა შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტში.

„IBSU იმ დროისთვის, და არა მარტო იმ დროისთვის, იყო ერთ-ერთი ყველაზე პრესტიჟული და წამყვანი უნივერსიტეტი საქართველოში. ასევე, ეს იყო ერთადერთი უნივერსიტეტი, სადაც ეკონიმიკის ინგლისურად სწავლა შეიძლებოდა. უნივერსიტეტში კვალიფიციური ლექტორები ასწავლიდნენ, გარდა ამისა, შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი მდიდარია ახალი ლიტერატურით. ეს იყო ერთ-ერთი ფაქტორი, რამაც მომცა მოტივაცია სწავლა გამეგრძელებინა შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტში“.

ანა აქტიურად იყო ჩართული სტუდენტური ცხოვრების როგორც აკადემიურ, ისე სოციალურ მიმართულებაში. ხშირად იღებდა მონაწილეობას სხვადასხვა ეკონომიკურ დებატებში, კოფერენციებში, ტრენინგებში, არა მარტო საქართველოში, არამედ - საქართველოს საზღვრებს გარეთაც.

შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი ყოველთვის ცდილობს კურსდამთავრებულებთან კავშირის შენარჩუნებას. რა თქმა უნდა, ანასაც არ გაუწყვეტია IBSU-სთან კავშირი, ის ყოველთვის ცდილობს შეინარჩუნოს ურთიერთობა. ამის მაგალითია ისიც, რომ სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის მიერ ორგანიზებულ კონფერენციაზე „კავკასიის გზაჯვარედინზე - რეგიონული სტაბილურობის გამოწვევები“ ანა ეკონომიკის სექციის მოდერატორი იყო.

„შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი დამეხმარა გამერკვია, თუ რა იყო ჩემი კარიერა, სად უნდა გამეგრძელებინა მომავალი საქმინობა, რა შესაძლებლობები მქონდა. IBSU-მ მომცა განათლება და ისეთი უნარები, რომლებიც პროდუქტიულად გამოვიყენე. შზსუ-ში მიღებული გამოცდილება მეხმარება ჩემი კარიერის შენებაში და რაც მთავარია, დავამყარე ძალიან ბევრი სასარგებლო კონტაქტი“.

**-ურჩევდი, თუ არა სხვებს, რომ გახდნენ შზსუ-ს სტუდენტები?**

„ყველას ვურჩევდი გახდეს IBSU-ს სტუდენტი, რადგან აქ არის ისეთი გარემო, რომელიც პედაგოგს აძლევს შესაძლებლობას ყველა სტუდენტს მიუდგეს ინდივიდუალურად. ძალიან ბევრის მომცემია იყო IBSU-ს სტუდენტი და კურსდამთავრებული, რადგან ადმინისტრაციაც და აკადემიური პერსონალიც ყოველთვის ცდილობს შზსუ იყოს ერთ-ერთი კონკურენტუნარიანი და წამყვანი უნივერსიტეტი საგანმანათლებლო სივრცეში“.

**-კარიერული თვალსაზრისით, რა იყო შენი ყველაზე დიდი გამოწვევა ცხოვრებაში?**

„კარიერული თვალსაზრსით ყველაზე დიდ გამოწვევა, ალბათ, იყო ის, რომ დამემკვიდრებინა თავი, ყველასთვის მეჩვენებინა ჩემი შესაძლებლობები და მომეპოვებინა ღირსეული თანამშრომლის სტატუსი“.

**-რას ურჩევდი დღევანდელ ახალგაზრდებს, რა არის წარმატების საწინდარი?**

**„წარმატების საწინდარი არის თავდაუზოგავი შრომა და სიყვარული იმ საქმისა, რასაც აკეთებ, ეს არის წარმატების პირველი ფორმულა. ყოველთვის აღვნიშნავ, რომ დიდი თავდადების გარდა საჭიროა, მოხვდე ისეთ გარემოში, სადაც სწორად შეაფასებენ შენ შესაძლებლობებს და წინსვლისთვის ასპარეზს მოგცემენ, წარმატებისთვის საჭირო ამ მეორე პირობას, შეიძლება, იღბალიც ვუწოდოთ. შრომა და იღბალი ეს არის წარმატების საწინდარი“.**

უნივერსიტეტის კიდევ ერთი წარმატებული კურსდამთავრებული ლაშა ამაშუკელია. ლაშამ კომპიუტერული მეცნიერებების და საინჟინრო საქმის ფაკულტეტი 2016 წელს დაამთავრა. უნივერსიტეტში სწავლისას იგი აქტიურად იყო ჩართული საუნივერსიტეტო საქმეებში. ლაშა თავის რამდენიმე მეგობართან ერთად, ორგანიზებას უწევდა ინტელექტუალურ თამაშს „რა? სად? როდის?“, რომელიც სტუდენტებში დიდი პოპულარობით სარგებლობდა.

„ვცდილობდი სტუდენტურ ცხოვრებაში აქტიურად ჩავრთულიყავი. ჩემთვის სასიამოვნოდ გასახსენებელი მოგონება, ალბათ, ჩემს ორ კურსელთან ერთად ჰაკათონზე პირველი ადგილის მოპოვება იყო. საქართველოს "ინოვაციებისა და ტექნოლოგიების სააგენტოს" მიერ ჩატარებულ ჰაკათონზე ჩვენ მიერ შექმნილმა მარტივმა ანდროიდ აპლიკაციამ ჟიურის მოწონება დაიმსახურა და შედეგად მოვიპოვეთ საგზური ანკარაში გამართულ "ანდროიდის" დეველოპერთა კონფერენციაზე. ეს ჩვენთვის პირველი დიდი წარმატება იყო, რასაც თან ბევრი კარგი და სასიამოვნო მოვლენა მოჰყვა ჩვენ პროფესიულ ცხოვრებაში“.

ლაშა მეორე კურსიდან გადიოდა სტაჟირებას IBSU-ს საინფორმაციო ტექნოლოგიების დეპარტამენტში. ის ამჟამად მაგისტრატურას ესტონეთში, ტარტუს უნივერსიტეტში გადის. მას მაგისტრატურის საზღვარგარეთ გავლა დიდი ხნის განმავლობაში სურდა და ამისთვის ადრევე დაიწყო მომზადება.

„საბედნიეროდ, უნივერსიტეტმა, ჩემმა სამსახურმა და მონდომებამ დასახული მიზნის მიღწევის საშუალება მომცა. მნიშვნელოვანი რამ, რის გამოც IBSU-ს მადლიერი ვარ არის ის, რომ სწავლის დაწყებისას დასახული მიზნების მისაღწევად შესაბამისი გარემო და პირობები შემიქმნა“.



**ლაშა ამაშუკელი: „ყველაზე მნიშვნელოვანი რამ, რის გამოც IBSU-ს მადილერი ვარ არის ის, რომ სწავლის დაწყებისას დასახული მიზნების მისაღწევად შესაბამისი გარემო და პირობები შემიქმნა“.**

ესტონეთში სწავლის პარალელურად ლაშა ადგილობრივ კომპანიაშიც მუშაობს. უცხოურ კომპანიაში მუშაობა კიდევ ერთი ახალი და საინტერესო გამოცდილებაა მისთვის. იგი, სულ მცირე, ერთი წელი, ანუ მაგისტრატურის დასრულებამდე, გეგმავს ესტონეთში დარჩენას.

**-კარიერული თვალსაზრისით, რა იყო შენი ყველაზე დიდი გამოწვევა ცხოვრებაში?**

„კარიერული თვალსაზრისით ყველაზე მნიშვნელოვანი მომენტი, ჩემი აზრით, ჩემი ცხოვრების გზის, ჩემი პროფესიის არჩევა იყო. ალბათ, ეს ყველას ცხოვრებაში ძალიან მნიშვნელოვანი მომენტია და ამ დროს წყდება, თუ როგორი იქნება ჩვენი დარჩენილი ცხოვრება. მიხარია, რომ მივიღე ის გადაწყვეტილება, რომელიც მივიღე და ყველას ვუსურვებ, სწორი გადაწყვეტილების მიღებას და საკუთარი ადგილის პოვნას“.

**-რას ურჩევდი დღევანდელ ახალგაზრდებს?**

"შევეცდები რამდენიმე ისეთი მეგობრული რჩევა მივცე, რომელიც მათ ადგილას ყოფნის დროს შეიძლება რაღაცით დამხმარებოდა და რისი მართებულობისაც ღრმად მწამს: **პირველი და ყველაზე მთავარი, ყოველთვის აკეთეთ ის საქმე, რომლის კეთებაც გსიამოვნებთ, ვერანაირი კარგი თანამდებობა და მაღალი ანაზღაურება ვერ შეცვლის იმ გრძნობას, რომელიც შენი საყვარელი საქმის კეთებისას გეუფლება. არასდროს შეწყვიტოთ სიახლის ძებნა, მაშინაც კი, როდესაც თავს მშვიდად და კომფორტულად გრძნობთ. გაითვალისწინეთ სხვისი აზრი, მაგრამ არასდროს მოექცეთ მისი ზეგავლენის ქვეშ, არასდროს გააკეთოთ ნაადრევი და ნაჩქარევი დასკვნები, იყავით გაბედულები და გქონდეთ საკუთარი ძალების რწმენა. არ შეუშინდეთ დაბრკოლებებს და არ შეგეშინდეთ მარცხის, ეს ყველაფერი თითოეული ჩვენგანის ცხოვრების განუყოფელი ნაწილია. დაიმახსოვრეთ, შეუძლებელი არაფერია და თქვენი სანუკვარი მიზანი და ოცნება, რომელიც შეიძლება კონკრეტულ მომენტში შორეულად და მიუღწევლად გეჩვენებათ, სავსებით შესაძლებელია სინამდვილეში სულ ერთი ხელის გაწვდენაზე იყოს, მთავარია მოტივაცია, მონდომება და საკუთარი საქმის დიდი სიყვარული“.**

# გადაწყვეტილების მიღების პროცესს საჯარო ლექციათა ციკლი მიეძღვნა

*გვანცა ნადიბაიძე*

“გადაწყვეტილების მიღების პროცესის გამოწვევები საქართველოს საშინაო და საგარეო პოლიტიკაში“ - სწორედ ასე ერქვა საჯარო ლექციათა ციკლს, რომელიც შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტზე 2017 წლის გაზაფხულზე გაიმართა.



**სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის საერთაშორისო ურთიერთობების საბაკალავრო პროგრამის კოორდინატორი ივანნა მაჩიტიძე**

საჯარო ლექციათა ციკლი ორი საბაკალავრო პროგრამის „საერთაშორისო ურთიერთობების”,აგრეთვე, “საჯარო ადმინისტრირებისა და სახელმწიფო მმართველობის“ ერთობლივი ორგანიზებით გაიმართა. პროექტის ფარგლებში IBSU-ს სტუდენტებისთვის საჯარო ლექციები გამართეს საჯარო პირებმა, როგორც პოლიტიკოსებმა, ისე - სამოქალაქო სექტორის წარმომადგენლებმა. როგორც პროექტის ერთ-ერთმა ორგანიზატორმა და საერთაშორისო ურთიერთობების კოორდინატორმა ივანა მაჩიტიძემ გვითხრა, საჯარო ლექციების მთავარი მიზანი იყო, სტუდენტებისთვის ეჩვენებინათ გადაწყვეტილების მიღების პროცესის მნიშვნელობა და მისი თავისებურებები სხვადასხვა სფეროში.

„გადაწყვეტილების მიღების პროცესის თითოეული საფეხური მნიშვნელოვანია. მართალია, გადაწყვეტილების მიღების პროცესში წამყვან როლს საჯარო სექტორი თამაშობს, თუმცა ჩვენ მოწვეული გვყავდა არასამთავრობო სექტორის და სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლებიც. ამით გვინდოდა გვეჩვენებინა, თუ რამდენად კომპლექსურია ეს პროცესი. გადაწყვეტილების მიღება დამოკიდებულია არა მარტო საჯარო სექტორზე, არამედ სხვა სექტორებზეც, რომელთა გარეშეც ეს პროცესი არასრულყოფილია“, აღნიშნა ივანნა მაჩიტიძემ „მედია კლუბთან“ საუბრისას.

საჯარო ლექციების თემები არჩეული იყო მათი აქტუალურობიდან გამომდინარე. მოწვეული სტუმრები საუბრობდნენ ისეთ თემებზე, როგორებიცაა დემოკრატიზაციის გამოწვევები საქართველოში, გადაწყვეტილების მიღების პროცესის გამოწვევები საქართველოს ევროინტეგრაციის გზაზე, მედიის როლი გადაწყვეტილების მიღების დროს, ლიდერობა განვითარებად სახელმწიფოში და ა.შ.

პროექტის ერთ-ერთმა ორგანიზატორმა, „საჯარო ადმინისტრირებისა და სახელმწიფო მმართველობის“ პროგრამის ადმინისტრატორმა ელენე ბენდელიანმა აღნიშნა, რომ საჯარო ლექციების მიზანი იყო, სტუდენტებს გაეაზრებინათ გადაწყვეტილების მიღების პროცესის კომპლექსურობა.

„ჩვენი პროგრამის კურსდამთავრებულები მომავალში მოიაზრებიან დიპლომატებად, საშუალო რგოლის მენეჯერებად იქნება ეს საჯარო სექტორი, თუ - არასამთავრობო ორგანიზაციები. შესაბამისად, ისეთი მნიშვნელოვანი პროცესი,როგორიცაა გადაწყვეტილების მიღება, გვინდოდა, ყველა პერსპექტივიდან დაგვენახებინა. რატომ არის აუცილებელი გადაწყვეტილების მიღების პროცესში კომპლექსური ხედვა? - ეს კარგად ჩანდა საჯარო ლექციებში. მოწვეული სტუმრები უხსნიდნენ, თუ რა ტიპის მოდელები მუშაობს ახლა. როგორია იდეალური მოდელი და რა არის მომავალში შესაცვლელი”, აღნიშნა ჩვენთან საუბრისას ელენე ბენდელიანმა.

საჯარო ლექციების ციკლის მსვლელობისას მოწვეული იყვნენ საჯარო მოხელეები, ერთ-ერთი მათგანი საჯარო სამსახურის ბიუროს მოხელე ირმა მიქაძეა. იგი საჯარო სამსახურის ბიუროს ადამიანური რესურსების მართვის დეპარტამენტს ხელმძღვანელობს. ირმა მიქაძემ სტუდენტებს გააცნო საჯარო სამსახურის სპეციფიკა და კერძო და სახელმწიფო სექტორების შედარებითი ანალიზის საფუძველზე წარმოადგინა თანამედროვე მენეჯმენტის უმთავრესი პრინციპები.

„ძალიან კმაყოფილი ვარ საჯარო ლექციით,პირველ რიგში იმიტომ, რომ თავად თემა იყო საინტერესო და, მეორე, სტუდენტებმა შესანიშნავად გაიგეს პრეზენტაციის არსი, სვამდნენ კვალიფიციურ კითხვებს. ვფიქრობ, იმისთვის, რომ ახალგაზრდებმა მომავალში კარიერა განაგრძონ საჯარო სამსახურში, აუცილებელია იყვნენ პროფესიონალები, მუდმივად განვითარდნენ და ეს დამოკიდებულია მათ მიერ არჩეული საქმიანობის სპეციფიკაზე“, გვითხრა „მედია კლუბთან“ საუბრისას საჯარო ლექციების ფარგლებში მოწვეულმა ერთ-ერთმა სტუმარმა ირმა მიქაძემ.



**სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის საჯარო ადმინისტრირებისა და სახელმწიფო მმართველობის პროგრამის ადმინისტრატორი ელენე ბენდელიანი**

ლექციები ნოემბრის თვეში დაიწყო და მარტში დამთავრდა. ლექციებზე დასასწრებად საჭირო იყო წინასწარი რეგისტრაცია, თუმცა სტუდენტების რაოდენობა იმდენად გაიზარდა, რომ ნებისმიერ მსურველს შეეძლო საჯარო ლექციებზე დასწრება.

როგორც ორგანიზატორები ამბობენ, ლექციები ინტერაქტიული იყო და მოხსენების შემდეგ დისკუსიები იმართებოდა. სტუდენტებს საშუალება ჰქონდათ მოწვეული სტუმრებისთვის მათთვის საინტრესო კითხვები დაესვათ.

„ძალიან კმაყოფილი ვარ საჯარო ლექციების ციკლით, რადგან ჩემ პროფესიაში ნამდვილად გამომადგება საშინაო და საგარეო საქმეებში გადაწყვეტილების მიღება. უშუალოდ ჩვენი კომპეტენციაა,რომ მომავალში მსგავს საკითხებზე მივიღოთ გადაწყვეტილება. საჯარო ლექციები მოიცავდა როგორც თეორიულ, ასევე - პრაქტიკულ სწავლებასაც. ლექციების ფარგლებში ვეწვიეთ პარლამენტს და მოხარული ვიქნები, თუკი მსგავსი აქტივობები მომავალშიც გაგრძელდება“, აღნიშნა მარიამ ბურდილაძემ, საჯარო ადმინისტრირებისა და სახელმწიფო მმართველობის პირველი კურსის სტუდენტმა.

„ჩემთვის, როგორც მომავალი დიპლომატისთვის, სასარგებლოა მსგავსი საჯარო ლექციები, ძალიან ბევრ დეტალს მივაქციე ყურადღება და ბევრი რამ გავიგე გადაწყვეტილების მიღების პროცესების შესახებ. ამისთვის მინდა დიდი მადლობა გადავუხადო პროექტის ორგანიზატირებს“, გვითხრა მარიამ შაშიაშვილმა, საერთაშორისო ურთიერთობების მიმართულების მეორე კურსის სტუდენტმა.



**ირმა მიქაძე საჯარო სამსახურის ბიუროს ადამიანური რესურსების მართვის დეპარტამენტის ხელმძღვანელი, მოწვეული სტუმარი**

სალექციო ციკლის დასრულების შემდეგ დარეგისტრირებულ სტუდენტებს სერთიფიკატები გადაეცათ.

# უცხოელი სტუდენტები IBSU-ს შესახებ



**კინგ საიმონ, საერთაშორისო ურთიერთობების სპეციალობა, მეოთხე კურსი, ნიგერია.**

“საზღვარგარეთ სწავლა უცხოელი სტუდენტებში ხშირად შეშფოთებას იწვევს, ამიტომაც მათ სჭირდებათ ხელსაყრელი გარემოს შექმნა იმისთვის, რომ შეძლონ მუდმივ შფოთვასა და ემოციური გრძნობებთან გამკლავება. უნივერსიტეტის შერჩევისას მე არჩევანი გავაკეთე შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტზე, ძირითადად მისი აკადემიური ხარისხის, სტუდენტთა მრავალფეროვნების, ინტერკულტურული აქტივობების მაღალი დონისა და პარტნიორული ქსელის მრავალფეროვნების გამო. IBSU ღირებულებების ციტადელი და საუკეთესო ადგილია განათლების მისაღებად, როგორც ადგილობრივი, ისე - საზღვარგარეთიდან ჩამოსული სტუდენტებისთვის. ამას ცხადყოფს სხვადასხვა ქვეყნების კურსდამთავრებულების რაოდენობა, რომლებმაც ეს პრესტიჟული უნივერსიტეტი დაამთავრეს. უცხოელ სტუდენტებს IBSU-ში დახვდებათ საოცარი მიღება, ინტერკულტურული და კეთილგანწყობილი გარემო. თუმცა, კიდევ უფრო მნიშვნელოვანი ისაა, რომ აქ გამოცდილი პროფესორები ასწავლიან. მართლაც იშვიათია უნივერსიტეტი, რომელიც ცდილობს ხელი შეუწყოს სტუდენტების როგორც აკადემიურ, ისე - სოციალურ განვითარებას. IBSU-ში სწავლა ნიშნავს როგორც სააუდიტორიო მეცადინეობებს, ისე - აუდიტორიის გარეთა აქტივობებს. ყველაფერი კეთდება იმისთვის, რომ გახდე ინტერკულტურული და მიიღო საუკეთესო გამოცდილება შენი უნივერსიტეტისგან“.



**ანასტასია ნტიმოვა, ინგლისური ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამის მეორე კურსის სტუდენტი, საბერძნეთი.**

“მართალია, IBSU პატარა უნივერსიტეტია, თუმცა ამის მიუხედავად, აქ უზრუნველყოფილია ყველაფერი, რაც საჭირო და აუცილებელია სტუდენტისთვის. სასწავლო მასალების ფართო არჩევანი, გამოცდილი, განათლებული და მეგობრული გარემო - ის ასპექტებია, რასაც IBSU გვთავაზობს. ის მუდმივად ცდილობს დააკმაყოფილოს სტუდენტების სურვილები, მოუსმინოს მათ მოლოდინებს. აქ ბევრი კონფერენცია და ღონისძიება ტარდება იმისთვის, რომ სტუდენტებმა მიიღონ სასარგებლო ინფორმაცია და ცოდნა აიმაღლონ. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, IBSU არის შესანიშნავი ადგილი განათლების მისაღებად და უკეთესო მომავლის უზრუნველსაყოფად.

როგორც უცხოელი სტუდენტი, დიდხანს ვფიქრობდი, აქ ჩამებარებინა თუ - არა. არ ვნანობ ჩემ გადაწყვეტილებას, რადგან ეს არის საერთაშორისო უნივერსიტეტი და სწავლობენ როგორც ქართველები, ასევ - სტუდენტები სხვა ქვეყნებიდან. უცხოეულ სტუდენტს არ უნდა შეეშინდეს აქ ჩაბარების, რადგან ყველა სტუდენტსა, თუ ლექტორს შეუძლია ინგლისურად შენთან კომუნიკაცია. უფრო მეტიც, ახალი ადამიანების გაცნობა არის უნიკალური გამოცდილება, რომელიც არასდროს გავიწყდება.”

# „ლიდერის როლი განვითარებად სახელმწიფოში“

## IBSU-ში ანა დოლიძის საჯარო ლექცია გაიმართა

*ნინია მედულაშვილი, ნატა მიქაია, ანი ჭედია*

2017 წლის გაზაფხულზე შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტზე განახლდა პროექტი „ გადაწყვეტილების მიღების პროცესის გამოწვევები საქართველოს საშინაო და საგარეო პოლიტიკაში“. პროექტის მეორე სეზონი პრეზიდენტის აპარატის მდივნის, ანა დოლიძის საჯარო ლექციით გაიხსნა.

ანა დოლიძემ წაიკითხა საჯარო ლექცია თემაზე “ლიდერის როლი განვითარებად სახელმწიფოში”.

სტუმარმა სტუდენტებთან ერთად სხვადასხვა მაგალითი, დილემური და პრობლემური სიტუაციები განიხილა და საშუალება მისცა დამსწრეებს, თავადვე ეპოვათ გადაჭრის გზები და ალტერნატიული შესაძლებლობები. ლექციის შემდეგ სტუმარმა „მედია კლუბთან“ საუბრისთვისაც გამოყო დრო. მისი თქმით, უახლოეს მომავალში გამოვა მისი წიგნი, სათაურით “დროშა ჩემი ფანჯრიდან”.



„ამ წიგნის საშუალებით განზრახული მაქვს ვიმსჯელო იმ გამოწვევებსა და პრობლემეზე, რომლებსაც საჯარო სამსახურში შეიძლება გადავაწყდეთ”.

ანა დოლიძემ განსაკუთრებული ყურადღება საჯარო სამსახურებში ახალი თაობის მისვლაზე გაამახვილა. მისი აზრით, საჯარო მოხელეთა ახალგაზრდა ნაკადი “მზად არის შექმნას რაიმე ახალი”.

სტუმარმა აღნიშნა, რომ შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი ერთ-ერთია იმ უამღალეს სასწავლებლებს შორის, სადაც სტუდენტების მომზადების დონე მაღალია. მისი აზრით, ამაში წვლილი არამხოლოდ პროფესურას, არამედ, ადმინისტრაციასაც მიუძღვის. ვინაიდან სწორედ ადმინისტრაციის ინიციატივით იმართება საჯარო ლექციები და სასწავლო პროცესის პარალელურად დაგეგმილი სხვა აქტივობები. „საჯარო ლექციები, შეხვედრები და დისკუსიები სწავლისა და თვალსაწიერის გაფართოვების აუცილებელი პირობაა“.

# საჯარო ლექცია "თავისუფლების ფილოსოფია"



შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის ახალგაზრდა ეკონომისტთა კლუბის ორგანიზებით საჯარო ლექციების ციკლი ჩატარდა თემაზე: "საქართველო და ეკონომიკური თავისუფლება".

"თავისუფლების ფილოსოფია"- ამ საკითხს დაეთმო ლექციების ციკლის პირველი შეხვედრა, რომელიც ახალი ეკონომიკური სკოლა- საქართველოს მკვლევარმა, გიორგი ჩიქოვანმა ჩაატარა.

"თავისუფლება ჩემი შესაძლებლობების მაქსიმალიზაციაა, რომელზეც პირადად ვიქნები პასუხისმგებელი. ერთიანი საზოგადოება არ არსებობს, არსებობენ კონკრეტული საზოგადოებრივი ჯგუფები, ამიტომ საზოგადოების ფიქრები თავისუფლებაზე ძნელად გასაგებია", აღნიშნა საუბრისას გიორგი ჩიქოვანმა

ლექციების ციკლის დასრულების შემდეგ თითოეულ სტუდენტს სერთიფიკატი გადაეცა.

# სტუდენტთა გაცვლითი პროგრამები IBSU-ში

*მეგი ინწკირველი, ლელა გულბანი*

შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი ყოველწლიურად სულ უფორ მეტ სტუდენტს აძლევს შანსს გაცვლითი პროგრამებით ისარგებლოს და ნახევარი, ან ერთი სემესტრის განმავლობაში სხვადასხვა საზღვარგარეთის უნივერსიტეტებს ეწვიოს.

2017 წელს გაცვლით პროგრამაში მონაწილეობის მისაღებად სოციალ-



**მინდია გაბაძე, მესამე კურსის სტუდენტი**

ურ მეცნიერებათა ფაკულტეტიდან მოთხოვნა 45 მა სტუდენტმა შეიტანა , რომელთაგანაც 17 სტუდენტი შეირჩა.

იმისათვის,რომ სტუდენტმა სწავლა უცხოეთის მეგობარ უნივერსიტეტში განაგრძოს, მას გარკვეული საფეხურებისა და კონკურენციის გავლა უწევს, რაზეც სოციალური მეცნიერებების ფაკულტეტის წარმომადგენელი, თაკო ქარაზანიშვილი გვესაუბრა.

"გაცვლით პროგრამაზე წარმატებული სტუდენტი კონკრეტული კრიტერიუმებით ირჩევა. პირველ რიგში, საჭიროა მაღალი აკადემიური მოსწრება ე.წ. GPA . სტუდენტი უნდა იყოს საუნივერსიტეტო ცხოვრებაში აქტიურად ჩართული, რისი დამადასტურებელიც არის CV. მასში მითითებული იქნება, თუ რა სახით აქტიურობდა სტუდენტი აკადემიურ პროცესში. ფასდება სტუდენტის სამოტივაციო წერილიც, რომლის დაწერასაც აპლიკაციის შევსების დროს აუცილებელია.

ზოგიერთი უნივერსიტეტი ინგლისური ენის სერთიფიკატს ითხოვს. თუ სტუდენტი ინგლისურ სექტორზე სწავლობს, მას არ გაუჭირდება ამ მოთხოვნის დაკმაყოფილება, ხოლო თუ ქართულ სექტორზე სწავლობს, მას ან სერთიფიკატი მოეთხოვება, ან შიდა ტესტურ გამოცდას წერს ენათა სკოლაში ,რაც მათი ინგლისური ენის დონეს განსაზღვრავს. საჭიროების შემთხვევაში სასურველია რეკომენდაციები, რომლებსაც სტუდენტებს პროფესორები უწევენ ხოლმე ".

სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის, ჟურნალისტიკის პროგრამის მე-2 კურსის სტუდენტმა მინდია გაბაძემ ვისტულას უნივერსიტეტში 2017 წლის გაზაფხულის სემესტრი გაატარა.

"შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტში ჩაბარებისას არც ვფიქრობდი გაცვლით პროგრამაში მონაწილეობაზე, თუმცა იმის გამო, რომ ჩემი და, ასევე შზსუ-ს სტუდენტი, გაცვლითი პროგრამით სარგებლობდა, მირჩია, რომ აუცილებლად ჩავრთულიყავი ამ პროგრამაში. მეც არ დავაყოვნე და მისი რჩევა გავითვალისწინე. ავირჩიე პოლონეთი , შევავსე სააპლიკაციო ფორმა, გავიარე ენის სერტიფიკატის ტესტირება და მალევე მომივიდა თანხმობა. იმის გამო, რომ მასპინძელ უნივერსიტეტში ჟურნალისტიკის პროგრამაზე რეგისტრაცია დამთავრებული იყო, საერთაშორისო ურთიერთობების საგნები ავირჩიე. თუმცა, აქ რომ ჩამოვედი, გავარკვიე, რომ ჟურნალისტიკის საგნების არჩევაც შემეძლო და ახლა ჟურნალისტიკის და საერთაშორისო ურთიერთობების საგნებს ერთად გავდივარ".

როგორც მინდია ამბობს, ახალი გარემო, კულტურა და ახალი მეგობრები კარგი საშუალებაა როგორც საკუთარი თავის შესაცნობად, ასევე ახალი მიზნების დასახვისთვის.

"უცხოეთში სწავლა და ცხოვრება არის უდიდესი სიამოვნება. ახალი მეგობრები, ახალი გარემო, ახალი ლექტორები და ახალი კულტურა საკმარისია იმისთვის, რომ უკეთ შეიცნო საკუთარი თავი, მიხვდე, რას წარმოადგენ ამ ცხოვრებაში და დაისახო იმაზე ამბიციური ახალი მიზნები, ვიდრე ეს აქამდე გქონდა დაგეგმილი. მართალია შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტში ქართულად ვსწავლობდი და მასპინძელ უნივერსიტეტში ინგლისურად მიწევს სწავლა, მაგრამ ეს საერთოდ არ წარმოადგენს არანაირ დაბრკოლებას.".



**ანი მამედოვი, მესამე კურსის სტუდენტი**

გაცვლით პროგრამაში მონაწილე წარმატებულ სტუდენტთაგან ერთ-ერთი სტუდენტი ანი მამედოვია, რომელიც ლატვიის დედაქალაქ რიგაში მეორე კურსის მეორე სემესტრიდან აგრძელებს სწავლას. შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტში ანი საერთაშორისო ურთიერთობების პროგრამის სტუდენტია.

„გაცვლითი პროგრამა ნიშნავს შესაძლებლობას, რომ იწოდებოდე საერთაშორისო სტუდენტად. საერთაშორისო სტუდენტის ტიტული კი მნიშვნელოვანი ტიტულია ნებისმიერი დამსაქმებლისთვის. ეს არამხოლოდ აკადემიური ტიტულია, არამედ გამოცდილებისა და დამოუკიდებლობის, პიროვნული ზრდისა და საინტერესო ადამიანების გაცნობის შესაძლებლობაა.

ახალი გარემო კი არცთუ ისე ახალი იყო ჩემთვის, შეიძლება ითქვას ძალიან ნაცნობი და მშობლიურიც კი, რადგან შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტში შეჩვეული ვიყავი მულტიკულტურულ გარემოს, საერთაშორისო მეგობრებსა და ლექტორებს. ასე რომ, ადაპტაცია ჩემთვის ძალიან მარტივი აღმოჩნდა".

შავი ზღვის უნივერსიტეტის სტუდენტებს გაცვლითი პროგრამების კონკურსში მონაწილეობის მისაღებად ყოველ წელს ახალი შანსი ეძლევათ. ამის აუცილებელი პირობები კი - კარგი სწავლა, უცხო ენის სათანადო ფლობა და სოციალური აქტიურობის შენარჩუნებაა.

# ევროპულ და ევროატლანტიკური ინტეგრაციის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრთან შეხვედრა



შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტში "IBSU მსოფლიო დიპლომატიის კლუბის" ორგანიზებით ევროპულ და ევროატლანტიკური ინტეგრაციის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრ ვიქტორ დოლიძესთან შეხვედრა გაიმართა.

საჯარო ლექცია შეეხო ისეთ საკითხებს, როგორიცაა რუსეთის ფაქტორი საქართველოსა და ევროკავშირის ურთიერთობებში, რა როლი ენიჭება თეთრი სახლის დღის წესრიგში საქართველოს ახლა და თუ რამდენად არის მზად ჩვენი ქვეყანა ნატოში გასაწევრიანებლად. ასევე, მინისტრმა ისაუბრა ვიზალიბერალიზაციის წესებზე.

შეხვედრის დასასრულს სტუდენტებს საშუალება მიეცათ შეკითხვები დაესვათ მოწვეული სტუმრისთვის.

# შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტში სტუდენტური თვითმმართველობის ახალი გუნდია

*ელენე კვიციანი, მარიამ ჯგუშია*

2017 წლის 21 მარტს, შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტში თვითმმართველობის საპრეზიდენტო არჩევნები ჩატარდა. რეგულაციის მიხედვით სტუდენტის პრეზიდენტად არჩევა მხოლოდ ერთი წლის ვადით არის შესაძლებელი.

არჩევნებზე სულ ორი კანდიდატი იყო წარდგენილი. კენჭს იყრიდნენ: შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის, სოციალურ-მეცნიერებათა ფაკულტეტის, ჟურნალისტიკის მიმართულების მეორე კურსელი - თამარ გეგენავა და ამავე უნივერსიტეტის ბიზნესის მიმართულების მესამე კურსელი - ლაშა თამლიანი. ხმის მიცემა დილის 9 საათიდან საღამოს 8 საათამდე მიმდინარეობდა. დღის ბოლოს დაჯამებული შედეგების თანახმად დაფიქსირებული 657 ხმიდან, 364 ხმით თამარ გეგენავამ გაიმარჯვა.

თვითმმართველობის წინა გუნდმა არაერთი პროექტი განახორციელა, მაგრამ ჩვენთან საუბრისას, სტუდენტური თვითმმართველობის წინა პრეზიდენტმა მიშა გულიაშვილმა განსაკუთრებით ერთი პროექტი გამოყო. „ყველაზე მნიშვნელოვანი პროექტი, რომელსაც პირადად ვხელმძღვანელობდი მეორე კურსის დაწყების შემდეგ და დღემდე ვახორციელებ, ეს არის ე.წ „ველქამერების" პროექტი (Welcome)".

პროექტი მიშამ 2014 წლის აგვისტოში წამოიწყო, მან სოციალურ ქსელ ფეისბუკში შექმნა ჯგუფი იმ პირველკურსელებისათვის, ვინც ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგად შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტში მოხვდა. პროექტი უნივერსიტეტის „ახალი თაობისთვის" ყველა სახის საჭირო ინფორმაციის მიწოდებას გულისხმობდა. „თუკი პირველკურსელებს შეკითხვა გაუჩნდებოდათ შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის სტუდენტურ ცხოვრებასთან დაკავშირებით, ამ ჯგუფში მათთვის საინტერესო კითხვებს სვამდნენ და კომპეტენტურ პასუხებს იღებდნენ", გვითხრა თვითმმართველობის ყოფილმა პრეზიდენტმა მიშა გულიაშვილმა.



**მიშა გულიაშვილი, სტუდენტური თვითმმართველობის ყოფილი პრეზიდენტი**

ჩვენს კითხვაზე, იყო თუ არა არჩევები სამართლიანი, მიშამ გვითხრა - „ვთვლი, რომ არჩევნებში იმ კანდიდატმა გაიმარჯვა, რომელიც არჩევნებამდე ერთი წლის განმავლობაში, მეორე კანდიდატთან შედარებით გაცილებით უფრო აქტიურად იყო ჩართული სტუდენტებისთვის მნიშვნელოვან პროექტებში".

საუბრისას გაირკვა, რომ წინა პრეზიდენტი კმაყოფილია და დადებითად აფასებს ახალ გუნდს. მათ უსურვებს, რომ გაითვალისწინონ სტუდენტების კეთილდღეობა, უნივერსიტეტის ინტერესების დაცვა და პრესტიჟის ამაღლება. „ახალი პრეზიდენტი ნამდვილად ღირსეულია. იგი უნივერსიტეტში ერთ-ერთი აქტიური, განათლებული და ამ პოზიციისთვის კომპეტენტური სტუდენტია", განაცხადა მიშა გულიაშვილმა.

მოქმედი პრეზიდენტი თამარ გეგენავა, როგორც თვითონ აღნიშნავს, თავდაპირველად არცკი აპირებდა არჩევნებში მონაწილეობის მიღებას, თუმცა ეს იდეა მას მეგობარმა სტუდენტებმა მიაწოდეს და განახორციელებინეს კიდეც. დღეს იგი კმაყოფილია, რომ საკუთარ გუნდთან ერთად გაიმარჯვა და მზად არის დროის დიდი ნაწილი სტუდენტების საჭიროებების ადმინისტრაციამდე მისატანად დახარჯოს.

„სტუდენტური თვითმმართველობა უნივერსიტეტში დამოუკიდებლად არსებობს და მუდამ სტუდენტების სამსახურშია. თვითმმართველობის სათავეში მყოფმა სტუდენტებმა უნდა გაიზიარონ სხვა სტუდენტების სურვილები, იდეები და ყველაფერი გააკეთონ იმისთვის, რომ უნივერსიტეტი მუდამ ერთიანი იყოს. აქედან გამომდინარე, მგონია, რომ ძალიან დიდი პასუხისმგებლობა მაკისრია, როგორც მთლიანად უნივერსიტეტის, ისე ჩემი მეგობრების წინაშე და ვალდებული ვარ, რომ ერთი წლის განმავლობაში ჩემი და ჩემი მეგობრებისთვის საუნივერსიტეტო ცხოვრება, იქნება ეს საგანმანათლებლო, თუ გასართობი, საინტერესოც გავხადო და მიმზიდველიც. ჩვენ თითოეული სტუდენტის კეთილდღეობასა და სოციალურ ცხოვრებაში აქტიურად ჩართვაზე უნდა ვიზრუნოთ", გვითხრა თვითმმართველების პრეზიდენტმა თამარ გეგენავამ.

თვითმმართველობის ახალმა გუნდმა უკვე რამდენიმე პროექტი განახორციელა, მათ შორის აღსანიშნავია ორგანიზაცია „თრიფექსთან" ერთად ჩატარებული მასშტაბური გარემოსდაცვითი ღონისძიება, რომლის ფარგლებშიც სტუდენტებმა ბორჯომის განადგურებული ტყის გარკვეული ნაწილი აღადგინეს. ჩამოაყალიბეს აღმოსავლური ენის შემსწავლელი რამდენიმე თვიანი კურსი, განახორციელეს პროექტი „სპიკერი" იმ სტუდენტების აღმოსაჩენად, რომლებსაც ორატორული ნიჭი გააჩნიათ. უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში დადგეს "პატარა თავისუფალი ბიბლიოთეკა" „My little free library", ანუ ხის სახლი, რომელიც შეივსო წიგნებით და ნებისმიერ მსურველს შეუძლია უფასოდ გაცვალოს და სახლში წაიღოს წიგნი, რომელიც წაკითხული არ აქვს. გაკეთდა შემეცნებით-გასართობი სეზონური ბანაკები და ტრენინგები სტუდენტები-



**თამარ გეგენავა, სტუდენტური თვითმმართველობის პრეზიდენტი**

სთვის. ჩატარდა სიმულაციური და ინტელქტუალური თამაშები, ვსემინარები, გასართობი ღონისძებები.

სტუდენტური თვითმმართველობა სამომვალოსაც არაერთი სასარგებლო პროექტის განხორციელებას გეგმავს.

# გიორგი ბაქრაძე საკუთარი ცხოვრების, პედაგოგიური საქმიანობისა და სტუდენტებთან ურთიერთობის შესახებ

*თამუნა იაკობაშვილი, თაკო ბოჭორიძე*



**გიორგი ბაქრაძე: „მიყვარს ლექციების კითხვა, სტუდენტებთან ურთიერთობაც კარგად გამომდის. ვფიქრობ, ლმობიერი პედაგოგი ვარ“**

„დატვირთული და მრავალფეროვანი“ - ასე აფასებს გიორგი ბაქრაძე თავის ცხოვრებას. პირველადი პროფესიით ფიზიკოსი, საბოლოოდ ეკონომიკას დაეუფლა. ამჟამად საქართველოს ეროვნულ ბანკში მუშაობს, პარალელურად, 2004 წლიდან დღემდე, პედაგოგიურ საქმიანობასაც ეწევა. ამბობს, რომ სწავლება ძალიან მოსწონს. არაერთ უნივერსიტეტში ასწავლის, შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი მათ შორის ერთ-ერთია.

გიორგი ბაქრაძე: „ყველაფერი საჯარო ლექციიდან დაიწყო: შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტში ძალიან უცნაურად მოვხვდი. რამდენიმე წლის წინ ერთმა სტუდენტმა გოგონამ, ანა გოგოლაძემ, სტუდენტების მიერ დაფუძნებულ „ახალგაზრდა ეკონომისტთა კლუბში“ დამპატიჟა საჯარო ლექციის წასაკითხად. სიამოვნებით წავიკითხე ლექცია, დაახლოებით 2 წლის შემდეგ მომივიდა წერილი უნივერსიტეტის რექტორ ილიას ჩილოღლუსგან, ოღონდ არა ელექტრონული ფორმით, არამედ ხელით დაწერილი წერილი, სადაც გამოთქმული იყო ჩემთან თანამშრომლობის სურვილი, რა თქმა უნდა, სიამოვნებით დავთანხმდი”.

მას შემდეგ შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის პედაგოგია და ეკონომიკისა და საერთაშორისო ურთიერთობების პროგრამებზე „მაკროეკონომიკას“, „ეკონომიკის შესავალს“ და სხვა რამდენიმე საგანს ასწავლის. სტუდენტების შემართება მოსწონს და მათ ურჩევს, რომ არასოდეს შეჩერდნენ, ყოველთვის იყვნენ ცნობისმოყვარენი, ავტორიტეტები ბრმად არ შეარჩიონ და საკუთარ თავში კრიტიკული აზროვნების უნარი განავითარონ.

“არასდროს დაუჯეროთ ავტორიტეტებს და პროფესორის მოსაზრებებიც არ აღიქვათ საბოლოო და ურყევ ჭეშმარიტებად. გასაგებია, რომ შეგვიძლია დავუჯეროთ იმას, რაც სახელმძღვანელოში წერია, მაგრამ, პროფესორის და ნებისმიერი სხვა ადამიანის სიტყვები ყოველთვის გადაამოწმეთ, შეცდომა ყველას მოსდის, რაც ბუნებრივია“.

გიორგი ბაქრაძის აზრით, მისი ბავშვობა სხვებისთვის მოსაწყენი შეიძლება ყოფილიყო. ამბობს, რომ ფიზიკურად განსაკუთრებით აქტიური არ ყოფილა, წიგნების კითხვა ერჩივნა. ცხოვრების აქტიური მოგონებები ძირითადად მე-3, მე-4 კლასიდან იწყება, როდესაც მან და მისმა ერთმა მეგობარმა დაიწყეს თამაში, სადაც გამოგონილი სამყარო ჰქონდათ რუკებითა და სათავგადასავლო რომანებზე დაფუძნებული თამაშის წესებით. ეს ყველაფერი მე-11 კლასამდე გაგრძელდა. ამბობს, რომ ყველაზე კარგად სწორედ გამოგონილი თამაში ახსენდება.

სკოლაში გამორჩეულად მათემატიკა, გეოგრაფია და ქიმია უყვარდა. რაც შეეხება პროფესიას: “პროფესიის არჩევაზე მშობლებმა დიდი გავლენა იქონიეს. ისინი ფიზიკოსები იყვნენ და მეც ფიზიკის დარგი ავირჩიე”, გვითხრა გიორგიმ.

1990-იანი წლების დასაწყისში ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფიზიკის ფაკულტეტის სტუდენტი იყო. მიუხედავად მძიმე სამოქალაქო ვითარებისა და არეულობისა, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში გატარებული სტუდენტობის წლები სასიამოვნოდ ახსენდება. ინტელექტუალურმა თამაშებმაც სწორედ უნივერსიტეტში გაიტაცა, მან და მისმა მეგობრებმა საფუძველი ჩაუყარეს ცნობილ ინტელექტუალურ თამაშს „ლითა“, რომელიც - 1994 წლის ბოლოდან გიორგი მოსიძის შექმნილ ქართულ კლუბთან „რა? სად? როდის?” გაერთიანდა. 1994 წლის ბოლოს ეს თამაში უკვე პროფესიულ დონემდე განვითარდა, ამ დროისთვის მათ მომავალში ცნობილი ტელეწამყვანი და „ინტელექტთა კლუბის“ ერთერთი მესვეური გიორგი მოსიძეც შეუერთდა. როგორც თავად ამბობს, თამაშმა ბევრი რამ ასწავლა და დიდი როლი ითამაშა მის ცხოვრებაში: “ჩემი მეგობრების დიდი ნაწილიც სწორედ „რა? სად? როდის? “ თამაშის დროს შევიძნე და ამით ძალიან ვამაყობ“, აღნიშნა ჩვენთან საუბრისას გიორგი ბაქრაძემ. თავისუფალ დროს სწორედ მეგობრებთან იკრიბება: „ძალიან მიყვარს მათთან ურთიერთობა, ხშირად ვთამაშობთ კარტს, ერთად მშვენიერ დროს ვატარებთ“.

ცხოვრების ჩვეულ რიტმს გვიყვება. დღე ძალიან დატვირთულია. დილით ლექციები, შემდეგ სამსახური, საღამოს ისევ ლექტორის ამპლუას ირგებს, თუმცა ყოველთვის ახერხებს, რომ დრო ოჯახისა და წიგნებისთვისაც გამონახოს. მეუღლე მსოფლიო ბანკის პროექტზე მუშაობისას გაიცნო. ახლა უკვე ორი შვილი ჰყავთ. „ოჯახი ყველაფერია, ცხოვრების ძირითადი ნაწილია”, ასე მიაჩნია გიორგი ბაქრაძეს.

ბაქრაძე გვიმხელს, რომ სხვა ცხოვრებაში დირიჟორი იქნებოდა, რაც ოპერის დიდი სიყვარულითაა განპირობებული. მისთვის მუსიკა ცხოვრების განუყოფელი ნაწილია, კლასიკური მუსიკა და საოპერო ხელოვნება განსაკუთრებით უყვარს. სიხარულით იხსენებს შეხვედრას პლასიდო დომინგოსთან.

ბუნებრივია, რომ წიგნების კითხვა ჩვენი რესპონდენტის ყველაზე საყვარელი საქმიანობაა, თუმცა მათ შორის საუკეთესოს ამორჩევა არ შეუძლია. კითხვაზე, რას ვერ დათმობთ ცხოვრებაში? ასე გვპასუხობს: “წიგნებსა და მუსიკას ვერასოდეს გავიმეტებ, ორივე ჩემი განუყოფელი ნაწილია”. ჩვენ სამომავლო გეგმებზეც ვკითხეთ, თუმცა დიდ ცვლილებებს არ გეგმავს. იქ უნდა ყოფნა, სადაც ახლაა, თუმცა სურს, რომ პროფესიული ზრდა არასდროს შეწყვიტოს.

## ფუტსალის უმაღლესი ლიგის გუნდი

*კესო მამფორია*



**მფკ IBSU-ს კაპიტანი ვატო მჟავანაძე და გუნდის ლიდერი გურო მამაცაშვილი.**
*ფოტო(sbm.ge)*

ფუტსალის უმაღლესი ლიგის გუნდი, მფკ IBSU ახალი შემადგენლობით და მწვრთნელით წარსდგა. ალიკ სარქისიანის მეთაურობით გუნდმა 12 მატჩი ჩაატარა და საკუთარ ანგარიშზე 8 წაგება, 3 მოგება და 1 ფრე ჩაიწერა.

განახლებულმა კლუბმა 2016/2017 წლის სეზონზე წარმატებას ვერ მიაღწია, თუმცა მომავალი სეზონისთვის უკვე ბოლომდე შეთამაშებული გუნდი ლიგაზე გამარჯვების მოსაპოვებლად იბრძოლებს.

წლევანდელ სეზონზე კი, საფეხბურთო კლუბმა მაყურებელს თავი “მფკ აგორას” წინააღმდეგ მატჩში დაამახსოვრეს. სატურნირო ცხრილის სამეულში მყოფმა “მფკ აგორამ” დრამატულ ბრძოლაში, მნიშვნელვანი სამი ქულა დაკარგა. ერთი შეხედვით შეხვედრა აგორას ფეხბურთელების უპირატესობით მიმდინარეობდა, თუმცა, IBSU-მ მატჩის განმავლობაში სამჯერ შეძლეს ორბურთიანი უპირატესობის აღდგენა. განსაკუთრებით დრამატული მატჩის ბოლო 30 წამი აღმოჩნდა. “აგორა” 39-ე წუთზე გია ნინაშვილის გატანილი გოლით დაწინაურდა. თამაშის ბედი, თითქოს, უკვე გადაწყვეტილი იყო. მატჩის დასრულებამდე ერთი წუთი რჩებოდა, თუმცა IBSU-ს ლიდერმა გურო მამაცაშვილმა 6 წამში 2 გოლი გაიტანა, ჯერ 10 მეტრიანი დარტყმით შეძლო ანგარიშის გათანაბრება, ხოლო შემდეგ - ხუთი ფეხბურთელით შეტევაზე მყოფი მეტოქე, საკუთარი ნახევრიდან ზუსტი დარტყმით უქულოდ დატოვა.

# „ადამიანს ყველაფერი შეუძლია ისწავლოს და დაძლიოს, თუკი გულით მოინდომებს“

*კესო მამფორია*

რაგბის თამაში, სულ რაღაც, ერთი წელია დაიწყო და უკვე საქართველოს ქალთა ეროვნული ნაკრების რიგებშია. ერთ დღეს სოციალურ ქსელ



**თინო წიკლაური, რაგბის ქალთა გუნდის წევრი, შავი ზღვის უნივერსიტეტის განათლებისა და ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის სტუდენტი**

ფეისბუქის თვალიერებისას გოგოებით დაკომპლექტებული რაგბის გუნდ „7 კაცას“ შესახებ გაიგო და მეორე დღესვე ბედის საცდელად წავიდა.

შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის სტუდენტი თინათინ წიკლაური გვიყვება, რომ თავდაპირველად ძალიან ნერვიულობდა, რადგან არ იცოდა, გუნდში როგორ დახვდებოდნენ. როდესაც მივიდა, მომავალი თანაგუნდელი დაინახა, რომელსაც ფეხი ჰქონდა მოტეხილი. ამ ფაქტს არ შეუშინებია. თავისი ფიზიკური მონაცემებით შესძლო მწვრთნელის გულის მოგება და „7 კაცას“ წევრი გახდა.

ქალებისგან შემდგარი რაგბის გუნდი “7 კაცა“ 2005 წლიდან არსებობს თავიდან გუნდი ევროპაში „ა“ დივიზიონში თამაშობდა, თუმცა შემდგომ გარკვეული ცვლილებები მოხდა და „ბ“ დივიზიონში გადაინაცვლა. ამჟამად გუნდს, რომელშიც 17 მოთამაშე ირიცხება, ჯაბა მალაღურაძე ხელმძღვანელობს. 20 მაისს „ 7 კაცა“ საფრანგეთში, „ნანსას“ ტურნირში ასპარეზობდა. ტურნიზე, რომელიც ევროპის სხვადასხვა ქვეყნის გუნდებს მასპინძლობს, საქართველოს ქალთა ეროვნულმა ნაკრებმა საკმაოდ კარგი შედეგი აჩვენა და მეოთხე ადგილი დაიკავა.

რაგბისადმი სიყვარული და, ზოგადად, სპორტული ცხოვრება ბავშვობიდან მისი გატაცება არ იყო. 12 წლამდე რაგბის შესახებ არაფერი იცოდა. ბავშვების უმეტესობის მსგავსად, უფრო ფეხბურთის შესახებ თუ გაეგო რამე, თუმცა გატაცებული არც სპორტის ამ სახეობით ყოფილა. ცოტა რომ წამოიზარდა, რაგბიში საქართველოს ნაკრების თამაშების ყურება დაიწყო. 18 წლისამ შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტში ჩააბარა, თელავის რაიონიდან საცხოვრებლად თბილისში გადმოვიდა და ახლა უკვე სტადიონზე დადიოდა, რომ ცოცხლად ენახა, თუ როგორ თამაშობდნენ რაგბის. დაინტერესება უფრო და უფრო იზრდებოდა, ბოლოს თინომ თავადაც სცადა. ვიდრე თამაშს დაიწყებდა, შიდა ჩემპიონატ „დიდი 10”-ის თამაშებზე დადიოდა.

თინო შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტში ინგლისურ ფილოლოგიას ეუფლება. პროფესიის არჩევა თავიდან ბოლომდე მისი გადაწყვეტილებაა. სკოლაში კარგად სწავლობდა, კითხვა და ინგლისური ძალიან უყვარდა. სწავლასა და სპორტის შეთავსებას მარტივად ახერხებს. როგორც ამბობს, განსაკუთრებული დროის დაგეგმვა არ სჭირდება, რადგან ისე დაემთხვა, რომ სხვადასხვა დროს უწევს ლექციები და ვარჯიში.

პირველი ერთი თვე გაუჭირდა ცხოვრების ახალ რიტმთან შეგუება. ტრენაჟორებზე ვარჯიში და მოედანზე სწორი თამაში მისთვის უცხო იყო. თუმცა, ერთი წუთითაც არ უფიქრია თავის დანებება. სულ ამბობს, რომ „ადამიანს ყველაფერი შეუძლია ისწავლოს და დაძლიოს, თუკი გულით მოინდომებს“.

„7 კაცას“ წევრებს ოჯახის წევრებად თვლის. გოგოები დიდ დროს ატარებენ ერთად და ერთმანეთის პრობლემები და გულის ტკივილი გაზიარებული აქვთ. თინო ამბობს, რომ თუ ისინი არ იქნებიან შეკრულები, გუნდი არ იარსებებს და თამაშიც არ გამოვა. თუ მათ მოედნის გარეთ პრობლემა აქვთ, ეს მოედნის შიგნით თამაშზე არ უნდა აისახოს.



**მოედანზე შესვლისთანავე რადიკალურად განსხვავებული ხდება. ყველა გრძნობას ივიწყებს და ამბობს, რომ იმასაც ივიწყებს, რომ ქალია. მწვრთნელი ყოველთვის ეუბნება „ნუ წუწუნებთ, ქალებს ნუ ემსგავსებითო“. გოგოებიც მწვრთნელის ინსტრუქციებს ზედმიწევნით ასრულებენ და მოედანზე შესვლისთანავე მხოლოდ თამაშზე ფიქრობენ. როგორც თინო ამბობს, სხვა რამეზე ოდნავ, რომ დაფიქრდე და ყურადღება გაგეფანტოს, შეიძლება რამე ფიზიკური დაზიანებაც კი მიიღო, რადგან, შესაძლოა, მოწინააღმდეგესთან კონტაქტში არასწორად შეხვიდე.** თამაშის დროს გჭირდება სხვა თვისებები და სხვა უნარები. ყველაზე მთავარი კი, მაინც გუნდურობაა. სხვისი აზრი უნდა გაითვალისწინო, ერთმანეთის შენიშვნა არ უნდა გეწყინოს და არც თანაგუნდელის დაყვირების გამო არ უნდა გაბრაზდე.

ჯერ-ჯერობით საქართველოს ფარგლებს გარეთ თამაში არ ჩაუტარებია, თუმცა გუნდი ევროპის ჩემპიონატისათვის ემზადება და, შესაძლოა, თინო ერთ-ერთი იყოს, ვინც საქართველოს სახელს დაიცავს.

სამომავლოდ ვარჯიშის გაგრძელება უნდა, მაგრამ არ იცის, თავისი პროფესია ამის საშუალებას მისცემს, თუ - არა. მთლიანად რაგბზე გადართვას არ აპირებს, რადგან ეს საქმე საქართველოში შემოსავლიანი არაა. მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს ეროვნული ნაკრების წევრია, ანაზღაურება არ აქვს. გული სწყდება, რომ ამ ეტაპზე საქართველოში პროფესიულ დონეზე ქალთა რაგბი ვერ ვითარდება. თუმცა, ვიდრე სწავლისა და სამსახურის პარალელურად რაგბისთვის დროის გამონახვას ახერხებს, სპორტს თავს არ გაანებებს.

# ლაშა წურწუმია - გამარჯვებულის სტატუსით გამომშვიდობება გუნდის პრესტიჟია

*მარიამ წივილაძე, კესო მამფორია*

შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის საფეხბურთო ლიგის (IFL) 2016-17 წლის ბოლო ტურში გუნდმა "USB"-მ დაძაბულ ბრძოლაში დაამარცხა გუნდი „Texas star" და ოთხ წლიანი ასპარეზობის შემდეგ, ლიგის გამარჯვებულის ტიტულს წელს პირველად დაეუფლა.

ჩემპიონობისთვის ბრძოლა 13-მა გუნდმა დაიწყო, მეორე წრიდან კი, ასპარეზობა 9 გუნდმა გააგრძელა. სატურნირო ცხრილში პირველ პოზიციაზე მყოფი გუნდის ვინაობა ხშირად იცვლებოდა. წლევანდელ სეზონზე ჩემპიონეობისთვის წინა სეზონის გამარჯვებული გუნდი „Gunners", "Fenix", "USB", "Allline" და დებიუტანტი "Hooligans" იბრძოდა. თუმცა, ბოლო მატჩებში ვითარება შეიცვალა, ვინაიდან „Fenix" „Hooligans"-თან დამარცხდა, ამ უკანასკნელს კი ორი თამაშის გამოტოვება მოუწია, რითაც ჩემპიონობისათვის ბრძოლას ავტომატურად გამოეთიშა.

გამარჯვებულის გამოსავლენად გადამწყვეტი ბოლო ტური აღმოჩნდა. „USB"-ის „Texas stars"-ის წინააღმდეგ დამარცხების შემთხვევაში ჩემპიონობა „Gunners"-ის ხელში გადადიოდა. თუმცა, "USB"-მ მეტოქე დამაჯერებლად 11:4 დაამარცხა.

„USB-ს გამარჯვება თითოეული ფეხბურთელის დამსახურებაა, გუნდში თავისი საქმე ყველამ უმაღლეს დონეზე შეასრულა და მივიღეთ ის, რისთვისაც ვიბრძოდით - „USB"-მ ჩემპიონატი მოიგო. ეს ჩვენთვის ბოლო სეზონი იყო, რადგან ვთვლი, რომ ლიგის გამარჯვებულის სტატუსით გამომშვიდობება გუნდის პრესტიჟია", თქვა „მედიაკლუბთან" საუბრისას „USB"-ის კაპიტანმა, ლაშა წურწუმიამ.



ჩემპიონის ტიტულის მოპოვების პარალელურად, დაძაბული ბრძოლა მიმდინარეობდა ფეხბურთელებში ბომბარდირობისთვის. ლიგის პირველივე ტურიდან "Fishers"-ის ფეხბურთელი ლუკა ჯიქია პირველობას არავის უთმობდა. მალე ბომბარდირობისათვის ბრძოლას "Fenix"-ის კაპიტანი დავით თავართქილაძე და "Allline"-ის კაპიტანი სანდრო ჩადუნელი შეუერთდნენ. ორივე ფეხბურთელს მეორე წრის მე-5 ტურის მონაცემებით 40-40 გატანილი გოლი ჰქონდა. ლუკა ჯიქია კი - 56 გოლით ლიდერობდა. დავით თავართქილაძემ ორი მატჩის ჯამში 23 გოლის გატანა შეძლო და ბომბარდირების ცხრილში ლიდერის პოზიცია დაიკავა. საბოლოოდ "Fenix"-ის კაპიტანმა 5 ბურთით გადაასწრო ლუკა ჯიქიას და წლის საუკეთესო ბომბარდირი გახდა.

"ვთვლი, რომ ჩემი ბომბარდირობა უპირველეს ყოვლისა გუნდის დამსახურებაა. როგორც იცით "Fishers"-ის ფეხბურთელი ლუკა ჯიქია პირველივე ტურიდან ლიდერობდა. მეორე წრის დაწყების შემდეგ გადავწყვიტე ბომბარდირობისთვის ბრძოლაში მეც ჩავრთულიყავი. ჩემი გუნდის წევრები ამაში ძალიან დამეხმარნენ. მათი თანადგომის გარეშე ასეთი მოტივაცია არ მექნებოდა. მიუხედავად იმისა, რომ გუნდმა გამარჯვება ვერ მოიპოვა, ცუდი სეზონი არ გვქონია და ძლიერ კონკურენციას ვუწევდით გუნდებს. ეს ჩემთვის ბოლო სეზონია და მიხარია, რომ ჩემი სახელი IBSU-ს ლიგის ისტორიაში ჩაიწერება", გვითხრა გუნდ „Fenix"-ის კაპიტანმა, დავით თავართქილაძემ.



ყოველ სეზონზე ჩემპიონობისა და ბომბარდირობის გარდა ფეხბურთელები საუკეთესო მეკარისა და საუკეთესო ფეხბურთელის ტიტულისათვის იბრძვიან. წელს ლიგის საუკეთესო მეკარედ გია თოდუა დასახელდა, რომელიც გამარჯვებული გუნდ "USB"-ის



კარს იცავდა. გია თოდუას კარის მიმართულებით, სეზონის განმავლობაში, არაერთი დარტყმა განხორციელდა, თუმცა მხოლოდ 85 მათგანი აღმოჩნდა წარმატებული. "USB"-ს მეკარეს ანგარიშზე არაერთი სეივი, 3 მოგერიებული პენალი და 3 გატანილი გოლია.

"როგორც ჩემთვის, ასევე ჩემი გუნდელებისთვის ეს ბოლო წელია უნივერსიტეტში და განსაკუთრებით სასიამოვნო იყო ისეთი რთული ლიგის მოგება. ჩვენი მოგება განაპირობა გუნდის მაღალი დონის თამაშმა. თითოეული წევრი ბოლომდე იხარჯებოდა, რათა გამარჯვება ჩვენ დაგვრჩენოდა. რაც შეეხება უშუალოდ ჩემს მოვალეობას, ვფიქრობ, თავი გავართვი, რადგან ჩემპიონატის განმვალობაში, ყველაზე ცოტა გოლი ჩვენს კარში გავიდა და, შესაბამისად, საუკეთესო მეკარის სტატუსი მე მერგო. იმის გათვალისწინებით, რომ ჩემთვის ბოლო სეზონი იყო, ვიმედოვნებ, რომ მომიწვევენ ტურნირში კურსდამთავრებულთათვის და კვლავ შევძლებ გავიხსენო სტუდენტური წლები", აღნიშნა ჩვენთან საუბრისას "USB"-ს მეკარემ, გია თოდუამ.

ჩემპიონატის თითოეული მატჩი მრავალფეროვნებითა და დაძაბულობით გამოირჩეოდა. ფეხბურთელებმა არაერთი შესანიშნავი გოლი შემოგვთავაზეს, თუმცა ტურნირის საუკეთესო ფეხბურთელის სტატუსი მიშო მიქელაძეს ერგო.

"სიმართლე გითხრათ, ცოტა მოულოდნელი იყო ჩემთვის ამ სტატუსის მიღება, რადგან, ჩემი აზრით, გუნდშიც არ ვყოფილვარ საუკეთესო. თუმცა ჩემპიონები გავხდით, რაშიც მეც მიმიძღვის წვლილი, ისევე როგორც - ჩემს ყველა თანაგუნდელს. მომავალი წლიდან გუნდი იშლება, თუმცა, ვფიქრობ მოვახერხებ ისეთი გუნდის შექმნას, რომელსაც ჩემპიონობის პრეტენზია ექნება", თქვა „USB"-ის ფეხბურთელმა მიშო მიქელაძემ.

2017 წლის სექტემბერში შზსუ-ს მინი ფეხბურთის ლიგის ახალი სეზონი დაიწყება. წლევანდელი სეზონი კი გამოსამშვიდობებელი აღმოჩნდა „USB", "Gunners"-სა და „Fenix"-სათვის. 2017-2018 წლის სეზონზე დარჩენილი გუნდები ახალ გუნდებთან ერთად მორიგი გამარჯვებული გუნდის გამოსავლენად ბრძოლას განაგრძნობენ.

# სპორტის კვირეული უნივერსიტეტში

*ნინო ბადალაშვილი, კესო მამფორია*

დატვირთული სასწავლო გრაფიკის შემდეგ სპორტი განტვირთვის საუკეთესო საშუალებაა. სწორედ ამიტომ შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტში სპორტს მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს და ყოველწლიურად სხვადასხვა სპორტული შეჯიბრები იმართება.

სპორტის კვირეული, რომელიც 5 მაისს დაიწყო და 2 კვირის განმავლობაში გაგრძელდა, ყოველწლიურად ტარდება. ტურნირები, რომელიც კვირეულის ფარგლებში იმართება, მასშტაბური ხასიათისაა და მასში სტუდენტების უმეტესობაა ჩართული.

კვირეული ფრენბურთის ტურნირით გაიხსნა. ფინალში "A" ჯგუფის ლიდერი გუნდი "International" და "B" ჯგუფის ლიდერი "შაშვები" დაუპირისპირდნენ ერთმანეთს. დაძაბულ ბრძოლაში "შაშვებმა" მეტოქეს ორივე სეტში 15:12 მოუგო და გამარჯვება მოიპოვა.

„სპორტული აქტივობების მხრივ ძალიან დატვირთული სეზონი გამოდგა. ყველა ტურნირი საინტერესო და დაძაბული იყო. მიუხედავად იმისა, რომ კვირეულის ფარგლებში ჩატარებული თითქმის ყველა ტურნირში ვმონაწილეობდი, გამარჯვება მხოლოდ ფრენბურთის ტურნირში მოვიპოვე. ფინალში ორი თანაბარი ძალის მქონე გუნდი იბრძოდა და, ალბათ, ცოტაოდენი გამართლება გახდა ჩვენი მოგების მიზეზი", თქვა მედიაკლუბთან საუბრისას გუნდ „შაშვების" წევრმა არჩილ გავაშელმა.



კვირეულის ყველაზე მნიშვნელოვანი ტურნირი ქუჩის კალათბურთია. ყოველ წელს ყველაზე დიდი მოთხოვნა სწორედ ამ ტურნირზეა. წელს ქუჩის კალათბურთში 8 გუნდი ასპარეზობდა.

ჯგუფურ ეტაპზე „შაშვებმა" და „მუ, სო, მუჟამმა" ჩატარებული ყველა მატჩი მოიგეს და 6-6 ქულით ლიდერობდნენ. ნახევარფინალში "A" ჯგუფიდან „შაშვები" და „ლეიკერსი", ხოლო "B" ჯგუფიდან „მუ, სო, მუჟამი" და „სტაფი" გადავიდა.

საინტერესო და დაძაბული გამოდგა ნახევარფინალური შეხვედრები „სტაფსა" და „შაშვებს"; აგრეთვე- „ლეიკერსსა" და „მუ, სო, მუჟამს" შორის. „შაშვები" და „მუ, სო, მუჟამი" ერთპიროვნულ ლიდერებად ითვლებოდნენა და ფინალურ ეტაპზე სწორედ მათი დაპირისპირება იყო მოსალოდნელი. თუმცა, პირველ ნახევარფინალურ მატჩში „სტაფმა" თავიდანვე უპირატესობა ხელთ იგდო და 10:4 დაამარცხა მეტოქე. სანახაობრივი და დაძაბული გამოდგა „ლეიკერსისა" და „მუ, სო, მუჟამის" შეხვედრა. გამარჯვებულის ბედი მატჩის დასასრულს გადაწყდა. „ლეიკერსმა" ბოლო შეტევა წარმატებით დაასრულა და ერთქულიანი სხვაობით გაიმარჯვა.

ჯაფარიძეს, ლეჟავასა და კვიციანის სამეულმა ფინალში „ლეიკერსი" 9:3 დაამარცხა და გამარჯვების ტიტული მოიპოვა. შოთა ლეჟავამ სამი ორქულიანი სროლა წარმატებით განახორციელა და გუნდს გამარჯვება მოუტანა.

„თითქმის ყოველ წელს ვმონაწილეობ მსგავს შეჯიბრებებში, თუმცა გამარჯვება პირველად მოვიპოვე. ბევრი ახალი მოთამაშე, ახალი ძალა დაემატა ჩვენ უნივერსიტეტს, ვის წინააღმდეგაც არ მქონდა თამაშები ჩატარებული. ყველა გუნდი ძლიერი იყო და დაძაბული მატჩების ჩატარება მოგვიწია. ყველაზე მნიშვნელოვანი მოგება ნახევარფინალში მოვიპოვეთ, როცა მერკვილაძე, სხირტლაძესა და გავაშელის სამეულს მოვუგეთ", გვითხრა გუნდ "სტაფის" ერთ-ერთმა წევრმა ნიკოლოზ კვიციანმა.

ნახევარფინალური შეხვედრების დაწყებამდე სამქულიანების შეჯიბრი გაიმართა. მოთამაშეებს 15 სროლის უფლება ჰქონდათ. შეჯიბრი ნიკა ქარცივაძემ მოიგო.

ფინალური შეხვედრის დასრულების შემდეგ კი, ზემოდან გდების (ჩატენვების) შეჯიბრი გაიმართა. გამარჯვებისთვის ილია



ცინცაძე, თეგა სხირტლაძე, აჩო გავაშელი, როლანდ მერკვილაძე და შოთა ლეჟავა დაუპირიპირდნენ ერთმანეთს. პირველი ცდის შემდგომ მეორე ტურში თეგა სხირტლაძე 25 ქულით და აჩო გავაშელი და როლანდ მერკვილაძე 24-24 ქულით გადავიდნენ. მეორე ტურის შემდეგ პირველობისთვის ბრძოლა სხირტლაძემ და გავაშელმა განაგრძეს. ზემოდან გდების გამარჯვებული კვლავ თეგა სხირტლაძე გახდა.

ტურნირები გაიმართა, აგრეთვე„ მაგიდის ჩოგბურთში და მაგიდის ფეხბურთში. ამ უკანასკნელში ილია გორგაძისა და სტეფანო აშრაფის წყვილმა მოიგო. მაგიდის ჩოგნურთში კი, პირველობა არავის დაუთმო გიორგი ზოიძემ.

გაზეთზე იმუშავეს შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის
სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის ჟურნალისტიკის საბაკალავრო პროგრამის სტუდენტებმა

გაზეთი ეკუთვნის შპს "შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტს" ვრცელდება უფასოდ

+995 32 2595005
+995 32 2595008
contact@ibsu.edu.ge
ibsu.edu.ge

დავით აღმაშენებლის ხეივანი მე-13კმ. 2
თბილისი, საქართველო
0131

IBSU MEDIA CLUB
#ibsumediaclub